# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 მაისი 2007 №107 (3030) ფასი 50 თეთრი




?

# საარჩევნო ჭრილობა

## საქართველო საგონებელშია: გაიცინებდი, სატირალი რომ არ იყოს, იტირებდი, სასაცილო რომ არ იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა












# ქარბორბალა

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგით მე-12 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა შედგა. საანგარიშოსი რა გითხრათ, ყრილობაზე უმთავრესი და უპირველესი საქმე პრეზიდენტის არჩევნები გახლდათ...

ყრილობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გახსნა და ვიდრე დელეგატებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ-დასამტკიცებელ საკითხებს შესთავაზებდა, მანამდე ყრილობას სტუმარი და დამკვირვებელი, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი მირჩა სანდუ გააცნო: „მოხარული ვარ, რომ თბილისში ვიმყოფები და ფედერაციის ყრილობას ვესწრები. იმედი მაქვს, საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიული იქნება და ღირსეული კანდიდატი გაიმარჯვებს“ — თქვა რუმინელმა სტუმარმა და კანდიდატებს წარმატებები უსურვა.

ყრილობა ისევ ახალკაცმა განაგრძო და საქმიანი ნაწილიც დაიწყო. თუმცა, რაღა საქმიანი, როცა დღის წესრიგში შეტანილი შვიდი საკითხის დამტკიცებას სულ 10-15 წუთი დასჭირდა. 32 ხმოსანი დელეგატი ერთსულოვნად უჭერდა მხარს წარმოდგენილ საკითხებს. ჯერ იყო, ყრილობამ ხმის დამთვლელი კომისია დაამტკიცა, შემდეგ მე-11 ყრილობის ოქმი, ფედერაციის წინა აღმასკომის ანგარიში, 2006 წლის ფინანსური ანგარიში, აუდიტის დასკვნა და დამოუკიდებელი აუდიტიც უცვლელი დატოვა, ყრილობამ ფედერაციის წესდებასა და დებულებაში ცვლილებებიც ერთხმად მიიღო. კამათი დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს მოჰყვა. მართალია, დელეგატებმა 2007 წლის ბიუჯეტიც უპრობლემოდ დაამტკიცეს, მაგრამ პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ მამუკა კვარაცხელიას ჰ ქონდა კითხვები ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. კვარაცხელიას ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა პასუხობდა, შიგადაშიგ კი ნოდარ ახალკაციც ერთვებოდა. „ყრილობაა თუ პრესკონფერენცია?“ — კვარაცხელიას მისამართით დარბაზიდან ასეთი რეპლიკა გაისმა. „ყრილობის დამთავრებას თუ ახლავე ელით, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, მე კითხვები მაქვს და მსურს, პასუხები მივიღო“ — იყო კვარაცხელიას პასუხი. პრეზიდენტობის კანდიდატის კითხვები თუ შენიშვნები ფიფა-უეფასგან მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენების შესახებ იყო: სად წავიდა ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ საბოლოოდ დასამთავრებლად გამოყოფილი ფული? რატომ ვერ აშენებენ რეგიონული ფედერაციები თავიანთ ოფისებს? სად არის მინი-მოედნების მოსაწყობი თანხა? უჩა უგულავამ კვარაცხელიას ინტერესი დააკმაყოფილა და ეს კამათიც მორჩა.

ფორმალური მხარე ამით მომთავრდა და ყრილობის თავმჯდომარეობა ნოდარ ახალკაცმა ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს გადააბარა... მან ჯერ პრეზიდენტობის სამი კანდიდატი ჩამოთვალა — ნოდარ ახალკაცი, გიორგი ნემსაძე, მამუკა კვარაცხელია — შემდეგ არველაძემ დამსწრეთ საარჩევნო პროცედურა გააცნო და წინასაარჩევნო სიტყვისთვის თითოეულს რეგლამენტით გათვალისწინებული 15-15 წუთი დაუთმო.

ტრიბუნასთან ჯერ ნოდარ ახალკაცი მივიდა და ფედერაციის პრეზიდენტად მუშაობის ორწლიანი პერიოდი შეაჯამა. მან ილაპარაკა ეროვნულ გუნდზე, ბავშვთა ფეხბურთზე, ეროვნულ ჩემპიონატზე... „საქართველოს ნაკრებმა ფიფას რეიტინგში 20 საფეხურით აიწია. პროგრესი აშკარაა, დაგეგმილი გვაქვს, რომ კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი გავაგრძელოთ“ — აი, ნაწყვეტი ახალკაცის გამოსვლიდან.

შემდეგ მიკროფონი გიორგი ნემსაძეს დაეთმო, რომელმაც, სულ ხუთ წუთს წაგართმევთო, მიმართა დარბაზს და თქვა, რომ სასურველია, ფიფამ და უეფამ თავიანთი ექსპერტები გამოგზავნონ და მათ შეისწავლონ, სად წავიდა „ჰეთ თრიქისა“ და „გოლის“ პროგრამებით გამოყოფილი თანხები. ასევე, ნემსაძემ ფედერაციის მართვის სისტემას გაურკვეველი და ვირტუალური უწოდა, ასეთი სისტემის მოქნილობისა კი მხოლოდ ფედერაციის თანამშრომლებს სჯეროთო.

კვარაცხელიამ კი თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „რა ხდება ფედერაციაში, კაცი ვერ გაიგებს, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს ყოფილი პოლიციელი ამირან კაჭახიძე ხელმძღვანელობს, რაც ფიფას ერთ-ერთი მუხლის პირდაპირი დარღვევაა“. ამას რევაზ არველაძის რეპლიკა მოჰყვა, პოლიციელობა ხომ ცოდვა არ არისო. კვარაცხელიამ თავის სიტყვის ნახევარზე მეტი ეროვნული გუნდის მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის კრიტიკას დაუთმო და, ცხადია, არც ფედერაცია დაინდო...

კენჭისყრის დროც დადგა და მერე უკვე იმაზე დაიწყო კამათი, დელეგატებს ბიულეტენი თავიანთ ადგილებზე უნდა შემოეხაზათ თუ უნდა განმარტოებულიყვნენ, სად დადგამდნენ საარჩევნო ყუთს... მოკლედ, ასეთმა არაფრისმომცემმა ლაპარაკმა 15-20 წუთი კიდევ წაიღო. შეთანხმდნენ, რომ ყრილობის მდივანი 32 დელეგატის გვარს რიგრიგობით ამოიკითხავდა, ისინი სამდივნოსგან დამოწმებულ ბიულეტენებს მიიღებდნენ და ასეთივე თანმიმდევრობით ხმის მიცემაც დაიწყებოდა. აქვე ერთი განმარტებაც: თავიდან არჩევნებში მონაწილეობა 33 დელეგატს უნდა მიეღო, მაგრამ შაბათის აღმასკომმა გურიის რეგიონულ ფედერაციას უფლებამოსილება შეუჩერა, რამაც თავისთავად გურია უხმოდ დატოვა. გურია კი, ყველამ იცოდა, გიორგი ნემსაძის მხარდამჭერი იყო.

... ხმის მიცემა დასრულდა და შესვენება გამოცხადდა. ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტიც და მოულოდნელი ტაშის გრიალი — ნემსაძე პრეზიდენტია! ახალი პრეზიდენტის მომხრეთა სიხარულს საზღვარი არ აქვს, ემოციურად ულოცავენ ერთმანეთს ამ გამარჯვებას. თავად გიორგი ნემსაძე, ცოტა არ იყოს, დაბნეულია, თუმცა ეს არაფერი, სახე მასაც ნელ-ნელა გაუბრწყინდა... 13 ხმა ახალკაცს, 19 ნემსაძეს, არც ერთი კვარაცხელიას — აცხადებს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და...

...ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი საათი არ იყო გასული, გიორგი ნემსაძემ ტელევიზიით სენსაციური განცხადება რომ გააკეთა. პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა... სამ კვირაში ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება და ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ... ისე გამოდის, ნემსაძემ პრეზიდენტად არჩევისთანავე გადადგომის თაობაზე გამოაცხადა.

რა მოხდა, რატომ, რამ მიაღებინა ნემსაძეს ასეთი გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით. ვარაუდი და ეჭვი ბევრია, დაზუსტებით კი ვერავინ ვერაფერს ან არ, ან ვერ ამბობს. უფრო ხშირად ის ისმის, რომ ფედერაციის ყრილობის არჩევანით ხელისუფლების გარკვეული წრეები აღშფოთებულან და საქმე თვით ქვეყნის პრეზიდენტამდე მისულა.

გუშინვე გია ნემსაძის ბანაკმა გამარჯვება რესტორანში აღნიშნა. თუმცა ფედერაციის პრეზიდენტი იქ არავის უნახავს...

**კოგა ინასარიძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

# არა შეჯდა შალკე ხესა...

## თემურ ქეცბაიამ ტიტულატურა აბევრა, ჯაკობიამ კი შახტარი მაკრატელათი დაჭრა

**გუშინ** ქართული ფეხბურთის მთავარი მოვლენა თბილისის „ქორთიარდ მარიოტში“ იყო და დიდი და უცნაური ამბებიც დატრიალდა — ფედერაციას პრეზიდენტის ქარივით ცვალებადი არჩევნები ჩატარდა, რომელსაც, ცხადია, ჩვენი ლეგიონერებიც ინტერესით ელოდნენ.



თემურ ქეცბაია სათასო სიგელით

წინა უქმეებისგან განსხვავებით, „უცხოელმა“ ქართველებმა არცთუ ურიგოდ ითამაშეს. არადა, ურიგოთი კი უნდა დავიწყოთ: როგორც ჩანს, გელზენკირხენის „შალკეს“ გერმანიის ჩემპიონობა არ უწერია — ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ხუმარებმა“ მესამედ დაკარგეს ლამის ლანგრით მირთმეული ბუნდესსასალათე. „შალკემ“ მეზობელ „დორტმუნდთან“ ბოლოსწინა ტურში 0:2 წააგო, „შტუტგარტმა“ კი მოიგო და ახლა ყველაფერი მის ხელშია. შტუტგარტელები ბოლო ტურში უმოტივაციო „კოტბუსს“ მასპინძლობენ და რა უნდა გაუჭირდეთ...

და თუ „შტუტგარტი“ ფრედ ითამაშებს, „შალკეს“ მინიმუმ ოთხი ბურთის სხვაობით მოგება დასჭირდება საჩემპიონოდ. „ხუმარების“ **ლევან კობიაშვილმა** „დორტმუნდთან“ ბოლო 11 წუთი ითამაშა, თურქი იოზილი შეცვალა.

მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგმა“ სტუმრად 3:0 გაანადგურა ლიდერი „კარლსრუე“, მეორე გოლი კი **ალექსანდრე იაშვილმა** თავისი მონადირებული პენალტით გაიტანა. „ფრაის“ 9 ნომერმა სრულად ითამაშა, **ოთარ ხიზანეიშვილი** კი სათადარიგო იყო. მოგების მიუხედავად, ქართველების გუნდი მეოთხე ადგილზე დარჩა და ბოლო ტურში „დუისბურგის“ წაფორხილების იმედი აქვს — სხვაგვარად მეორე ბუნდესლიგას ვერ ასცდება.

ერთიც, ეს იაშვილის მეათე საამსეზონო გოლია, პლუს, ჩვენიანს 13 პასი აქვს აქტივში.

გაიტანა **მიხეილ აშვეთიამაც**, რამაც „კარლ ცაისს“ ვინძლო სასიცოცხლო ქულა მოუტანა — „კაიზერსლაუტერნთან“ 1:1.

იენელები აგებდნენ და აშვეთიამ 51-ე წუთზე გაათანაბრა. ოთხ წუთში კი სტუმარ ბუდასთან ერთად გააგდეს.

იენელები ახლა მეთექვსმეტე, გასავარდნ ადგილზე არიან, თუმც კიდევ სამ გუნდს აქვს მათი ტოლ-სწორი ქულები და ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

**მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860“-მა შინ „ჰანზასთან“ 1:2 დათმო, 19 წლის ქართველმა კი მისთვის უჩვეულო საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა — მათე 77-ე წუთზე შეცვალეს.

„ლომები“ ცხრილის შუაში არიან და ამ წაგებით ბევრი არაფერი დაუკარგავთ.

ჰოლანდიაში კი საჩვენო ამბავი მოხდა. **შოთა არველაძის** „ალკმაარმა“ გასვლითი 1:1-ის შემდეგ შინ 2:0 მოუგო „ტვენტეს“ და ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელ მატჩში „აიაქსს“ შეხვდება — იმ „აიაქსს“, რომელთანაც ერთი კვირის წინ ქვეყნის თასის დრამატული ფინალი წააგო. შოთამ „ტვენტესთან“ ერთი საათი ითამაშა და 1:0-ზე შეცვალეს.

ინგლისური პრემიერლიგა ტრავმიანი **ზურაბ ხიზანიშვილის** გარეშე ჩათავდა და „ბლექბერნის“ ამბებზეც აღარ შევჩერდებით, იტალიაში კი **კახა კალაძემ** ბოლო 25 წუთი ითამაშა სტუმრად „კატანიასთან“ — 1:1. კახას ადგილი „როსონერის“ ძირითადში გამოჯანმრთელებულმა პაოლო მალდინიმ დაიკავა და ჩვენიანმაც სწორედ იგი შეცვალა.

ერთი ქართული გოლი რუსეთშიც გამოერია: **დავით მუჯირმა** „ლუჩს“ გაუტანა და სეზონში მეორე ბურთი მიითვალა. „კრილიამ“ 3:0 სძლია ვლადივოსტოკელებს, „მუმუმ“ 75 წუთი ითამაშა და პირველი ტაიმის მიწურულს ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი გადაგზავნა კარში, რითაც ანგარიში 2:0 გახადა.

„მუჯირი გუნდის ნამდვილი ლიდერია, რაც დღესაც დაამტკიცა. როცა ის არ თამაშობს, ძალიან გვიჭირს“ — თქვა „კრილიას“ თავკაცმა სერგეი ობორინმა.

**გოგიტა გოგუას** „სატურნმა“ სტუმრად 0:0 ითამაშა „ხიმკისთან“, ქართველმა კი 90 წუთი ითამაშა.

სამაგიეროდ, კვლავ სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ „რუბინის“ **ლაშა სალუქვაძე** და **ნუკრი რევიშვილი** — ყაზანელები „ამკართან“ მოგებამ ბოლო ადგილიდან ააცოცა. **ალეკო ამისულაშვილისა** და **ლევან გვაზავას** ნალჩიკის „სპარტაკმა“ 1:0 სძლია ერთ-ერთ ლიდერ „მოსკვას“, ეს ეული გოლი კი გვაზავამ გამოაცხო — მისი ჩაწოდებული ბურთი მოსკოველთა მცველს საკუთარ კარში აეჭრა. შედეგად, ნალჩიკელებიც მოშორდნენ სახიფათო ზონას.

კვიპროსზე თასის ფინალი გაიმართა და **თემურ ქეცბაიას** გაწვრთნილმა „ანორთოსისმა“ 3:2 მოუგო „ომონიას“ — ესეც ქართველების პირველი საამსეზონო უცხოური ტიტული მწვრთნელის რანგში.

უკრაინელ ქართველებზე მოყოლა კი **ლაშა ჯაკობიას** ფანტასტიკური გოლით დავიწყოთ: კიევის „არსენალის“ ფორვარდმა მე-5 წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ისეთი მაკრატელათი ააფართხალა ბადეში, ალბათ, უკრაინის ჩემპიონატის წლის გოლად აღიარებენ. „მეთოფეებმა“ 1:2 წააგეს „შახტართან“.

**გიორგი ჭელიძე** „ზარიას“ ძირითადში დაბრუნდა და მისმა გუნდმა სტუმრად 1:0 მოიგო „ილიჩევეცთან“, რითიც უმაღლეს ლიგაში ადგილი თითქმის შეინარჩუნა.

ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ სტუმრად 1:5 დათმო „ტავრიასთან“. **დავით კვირკველიამ** შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, **ირაკლი მოდებაძე** კი განაცხადშიც არ იყო. **ვასილ გიგიაძემ** 90 წუთი ითამაშა „კრივბასის“ „სტალთან“ წაგებულ მატჩში — 1:2.

სხვა ქართველები უკრაინაში არ გამოჩენილან: ზოგი ტრავმის, ზოგიც დისკვალიფიკაციის გამო.

**ილია ნანოგაშვილი**



ნატრავმალმა მიხეილ აშვეთიამ გოლიც მიითვალა და წითელი ბარათიც



**გუშინდელ** ყრილობაზე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ახალი შემადგენლობაც უნდა არჩეულიყო. აღმასკომის წევრობის სურვილი 25 კანდიდატს ჰქონდა, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კანდიდატთა სია 17-მდე შემცირდა. რევაზ არველაძემ, ფედერაციის სხვა ვიცე-პრეზიდენტებმაც გოგი ქავთარაძემ, გრიგოლ ცაავამ, დიმიტრი რამიშვილმა, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, „ამერის“ პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ, ზაზა ციციშვილმა და ლექსო თოფურიამ თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. დანარჩენი 17 კანდიდატიდან ასარჩევი 14 იყო, აღმასკომში ერთი ადგილი ავტომატურად ეკუთვნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. ახალი აღმასკომის შემადგენლობა ასეთია: მურად ანჯაფარიძე, ალექსანდრე აზვლედიანი, დავით გელაშვილი, სერგო კვარაცხელია, ვალერი მანაგაძე, ლაშა მინდელი, გურამ რუხაძე, დავით სილაგაძე, ბუბა ტყავაძე, დილარ ხაბულიანი, ივანე ხორგუაშვილი, ნუკრი კაკილაშვილი, ნუგზარ ბექაური, ვლადიმერ კაკაურიძე.

# კლაუს ტოპმიოლერის განცხადება ქართული მედიისთვის



**ვინაიდან** დღის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა ჩემი პოზიციის სხვადასხვანაირად ინტერპრეტირება, საჭიროდ ვთვლი, განვაცხადო შემდეგი:

მე და გერმანელ მწვრთნელთა შტაბი ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დღეს არჩეული ახალი პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე გადადგა. ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ უახლოეს მომავალში ისევ დაინიშნება ყრილობა და მოხარული ვიქნებოდი, თუ ნოდარ ახალკაცი კვლავ შეეცდება, მოიპოვოს ნდობის მანდატი იმ საქმიანობისთვის, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ და რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად მოუტანს წარმატებას ქართულ ფეხბურთს.

მე არ ვერევი საარჩევნო პროცესში, მაგრამ ვთვლი, რომ მაქვს უფლება დავაფიქსირო — წარმატებას სჭირდება ერთ გუნდად მუშაობა. აწ უკვე გადამდგარ ფედერაციის პრეზიდენტ ნემსაძეს და მის მხარდამჭერთა გუნდს არაერთხელ გამოუთქვამთ ჩემ მიერ გაწეული მუშაობის კრიტიკა. ასევე მუდმივი კრიტიკის ქვეშ იმყოფებოდნენ ჩემი სამწვრთნელო შტაბის წევრები. ასეთი ურთიერთობები არასოდესაა ნაყოფიერი.

მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ბატონ ნემსაძის გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე — მისთვის ჩემი პოზიცია, რომ მე მის გუნდთან არ ვაპირებდის მუშაობას, წინასწარ იყო ცნობილი.

ეს განცხადება გუშინ ნოდარ ახალკაცისას ფედერაციის პრესატაშემ სანდრო ცნობილაძემ მოგვაწოდა.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 24 ტური

# ბრძოლა აჩრდილთან



ამ ეპიზოდში „ვიტ ჯორჯია" ლაშა ჯაფარიძემ იხსნა

თბილისი. 12 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

## დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 იაშვილი (61) | |
| დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო (გ. კაშია 30), შაშიაშვილი, ხ. კობახიძე (გ. მერებაშვილი 45), ხმალაძე, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, ოდიკაძე (სპასოევიჩი 80), ს. იაშვილი. სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, ლ. ნოზაძე, გუგავა. მწვრთნელი: დუშან უჰრინი | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (კლიმიაშვილი 82), ბეჟვაია, სახოკია, ბერიაშვილი (ლუჭაშვილი 68). სათადარიგონი: ღურბელეიშვილი; ადამაძე, კვალიაძე, ინჯგია, კიკნაძე. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |
| გაფრთხილება: ზელიჩი (70) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ჯვარაძე, მ. ურუშაძე; ლ. ფანიაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე | |

ბაჩო სვანიძე

— რა ღირს ბილეთი?

— ორი ლარი, შვილო...

— წამო, თუ ძმა ხარ, ოთხ ლარად ცივ ლუდს დავლევთ, თანაც გვერდით რაგბია და იქნებ გემრიელი ჩხუბიც ვნახოთ...

ასეთი შინაარსის დიალოგი სამი-ოთხი მაინც მოვისმინე „მიხეილ მესხის" შესასვლელთან. ბილეთის ყიდვას უჩვევი ახალგაზრდობა ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის სანახავად ორ ლარს არ იმეტებს... ჰოდა, აკი სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე ორასამდე ქომაგი თუ მოგროვდა, პირველი ტაიმის შემხედვარეთ კი აქ რამ მოგვიყვანაო.

პირველ წრესთან შედარებით, „ვიტ ჯორჯიასგან" აჩრდილიღაა დარჩენილი. წლების მანძილზე ვიტელთა ხერხემალს — დავით დილმელაშვილს და გიორგი ფეიქრიშვილს ახლა „დინამო" ეყრდნობა, მაგრამ ამ მატჩში ჯერაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი „დინამო" ვეტერინართა აჩრდილთან ფრეს გადაურჩა. ამას კი პირველ რიგში შესანიშნავად მოთამაშე სოსო გრიშიკაშვილს და სტუმართა შემტევების უზუსტობას უნდა უმადლოდეს.

ნამატჩევს დინამოელთა ჩეხმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა თქვა, „ვიტ ჯორჯიამ" უფრო მონდომებულად იბრძოლა, „ოლიმპთან" მატჩის შემდეგ კი ჩემი გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხილიაო.

პარადოქსია, მაგრამ ის, რაც უჰრინმა დაიჩივლა, მეორე ტაიმზე უფრო ითქმოდა. არადა, სწორედ მეორე ნახევარში გაიტანეს მასპინძლებმა სამქულიანი გოლი.

იქამდე იყო უინტერესო პირველი ტაიმი, განსაკუთრებით კი მისი დებიუტი.

რასაც ხიფათი ჰქვია, 30-ე წუთისთვის შეიქმნა. ვიტელთა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს რა თქმა უნდა, სანდრო იაშვილი შეწვდა, ორიენტაციადაკარგულ მეკარეს თავზეც გადაუგდო, მაგრამ ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. რამდენიმე წუთში ვიტელმა გიორგი ბერიაშვილმა მოედნის ცენტრიდან დინამოელთა საჯარიმომდე ირბინა, დრიბლინგით სამ მცველს გასცდა და გრიშიკაშვილთან დაპირისპირებულმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ მეკარე მარჯვედ დაუხვდა, კონტრშეტევიც წამოიწყო, თუმც სანდრო იაშვილს ახლა უკვე გრიგოლ ბედიაშვილი ჩაუვარდა ფეხებში და ვითარება განმუხტა.

ეს იყო მეტოქეთა წუთიერი აფეთქება, მანამდე კი ბურთი მოედნის ცენტრში დაგორავდა და ნახევარმომენტების იქით საქმე არ წასულა.

განახლდა თუ არა მატჩი, „ვიტ ჯორჯიამ" მწვავედ შეუტია. ზაზა სახოკიამ „დინამოს" საჯარიმოში იფინტავა, მაგრამ სუსტად დაარტყა და გრიშიკაშვილს ბურთის აღება არ გასჭირვებია. ამის შემდეგ უკვე „დინამოს" შეეძლო გატანა. სანდრო იაშვილი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და ძლიერადაც დაარტყა. გრიგოლ ბედიაშვილმა თითები წაატანა ბურთს, თუმც გეზი ვერ უცვალა, კარში მიმავალი ბურთი კი ლაშა ჯაფარიძემ მაკრატელათი მოიგერია. ამის შემდეგ „დინამო" ორჯერ ითხოვდა პენალტს. ჯერ სანდრო იაშვილი წაიქცა საჰაერო ბრძოლისას, მერე კი გიორგი ფეიქრიშვილის ჩაწოდებული ბურთი აიბლანდა ვიტელთა მცველებში. ფეიქრიშვილის აზრით, ბურთი ერთ-ერთ მეტოქეს ხელზე მოხვდა, მსაჯ მალხაზ ბეუქლიშვილის აზრით კი, ასე არ იყო, თუმც რამდენიმე წუთში სანდრო იაშვილის წაქცევისას დანიშნა პენალტი, არადა, იმ მომენტში თავად იაშვილი არ ითხოვდა პენალტს. თერთმეტმეტრიანი თავად სანდრომ შეასრულა და მე-17 საამსეზონო გოლი გაიტანა.

ეს იყო და, „დინამოს" მეტოქის კარისკენ აღარც გაუხედავს, „ვიტ ჯორჯიამ" კი ტემპს უმატა, მით უმეტეს, ტრავმირებული მილოშ კრშკოს გასვლის შემდეგ დინამოელთა დაცვა აირია. სწორედ კრშკოს შემცვლელის, გურამ კაშიას და სოსო გრიშიკაშვილის შეუთანხმებლობით ვერ ისარგებლა ვასილ ლუჭაშვილმა, რომელმაც მახვილი კუთხიდან ცარიელი კარის ბადე გარედან შეარხია. მერე გიორგი დათუნაიშვილმა ოცდაათი მეტრიდან მოულოდნელად გაისროლა. გრიშიკაშვილმა ბურთი მოიგერია, დამმატებელი კი არავინ იყო. რამდენიმე წუთში ისევ დათუნაიშვილს შეეძლო გატანა, პენალტის ნიშნულიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ გრიშიკაშვილმა აქაც საოცარი რეაქცია გვაჩვენა და ბურთი ცხრიანიდან „ჩამოიღო", ზაზა სახოკიამ კი თავით ცარიელ კარს გადააცილა.

ვიტელთა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ ბოლო წუთებში თავის შემტევებს ირაკლი კლიმიაშვილი მიაშველა, რომლის სლალომი დინამოელთა მცველებმა საჯარიმოში ერთი შეხედვით წესების დარღვევით შეაჩერეს, მაგრამ ბეუქლიშვილის სასტვენი დუმდა, ვიტელთა პროტესტს კი, ცხადია, შედეგი არ მოჰყოლია.

მატჩის ბოლო წუთზე გიორგი მელქაძე დარჩა ეულად მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ სანამ მოიფიქრებდა, რომელი ფეხით დაერტყა, წინ მეტოქის მცველები აღუდგნენ, უკან დაგორებულ ბურთს კი ალეკო კვახაძემ ამოსცხო და კარს გადააცილა.

ბოლნისი. 12 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 200 მაყურებელი

## სიონი 0:0 ზესტაფონი

| | |
|---|---|
| სიონი: ბობღიაშვილი, სვანიძე, ორბელაძე, ბოიომო, ლ. სანიკიძე, მ. კობაური, ლ. ბაჯელიძე, კორღალიძე, ბაბუნაშვილი (ა. ალავიძე 46), ჩახემი (ქარდავა 72), ბ. ცხადაძე (ვ. უგრეხელიძე 78). სათადარიგონი: მამალაძე; ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი. მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ზესტაფონი: ჭანტურია, ხ. თოდუა (ლეანდრო 81), საჯაია, სანტოსი, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, კესანი, გ. ჭელიძე (ნ. კვასხვაძე 65), ვიეირა, ტორესი, იონანიძე. სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; შ. ლონლაძე, ბ. ნოზაძე, ფიფია, გ. ჩხეტიანი. მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: ონიანი (22), ვიეირა (39), ტორესი (55), კორღალიძე (75) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ვ. გუმბერიძე | |
| დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი | |

# გაბონიჩამ კი გამოანათა, მარა...
## იონას თავისიანმაც არ გაატანინა

მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან

**თითქოსდა** უმოტივაციო „სიონს" იმერლებისთვის დიდი წინააღმდეგობა ვერ უნდა გაეწია, მით უფრო, რომ ბოლნისელებმა ამ მატჩისთვის ვიტალი დარასელია და ლევან სილაგაძე მოისაკლისეს, მაგრამ ქვემოქართლელები „ზესტაფონს" ფიცხლად დაუხვდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და საქმე ისე წაუყვანეს, შესაძლოა, მესამე ადგილიც სანატრელი გაუხადონ.

პირველი ნახევარი „სიონისა" იყო. ბაჩანა ცხადაძეს დასაწყისშივე რომ ეყოჩაღა, ბოლნისელები უეჭველად დაწინაურდებოდნენ. მე-6 წუთზე ზესტაფონელთა დაცვამ მთელ თამაშში ერთადერთი შეცდომა დაუშვა: მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ცხადაძემ ბურთი გრიგოლ ჭანტურიასაც გადაავლო და... მისგან დაუცველ კარსაც. ამის შემდეგ ბურთს უფრო მეტად „სიონი" აკონტროლებდა, განსაკუთრებით ერიკ რომეო ჩასემი და დავით სვანიძე გამოირჩეოდნენ, თუმც რაიმე განსაკუთრებული ხიფათი იმერლების კართან არ შექმნილა. „ზესტაფონი" კი სამეულისთვის მებრძოლ გუნდს არ ჰგავდა.

სტუმრები მეორე ტაიმში გამოცოცხლდნენ, როცა მათი გაბონელი ლეგიონერი პოლ კესანი ათამაშდა. პირველ ნახევარში „გაბონიჩა" ჩაკარგული იყო, მეორეში კი ველარ იცნობოდა, „ზესტაფონიც" უფრო აგრესიული გახდა და, სულ მცირე, ხუთჯერ მაინც შეეძლო გატანა. იმერლებმა ერთმანეთზე უკეთესი საგოლე მომენტები ქარს გაატანეს.

57-ე წუთზე ვიეირამ საჯარიმოში ჩააწოდა, მცველები ბურთს ასცდნენ და ზურაბ იონანიძემ სამიოდ მეტრიდან ძელს გაარტყა.

61-ე წუთზე დიაგონალური პასით კესანიმ ვიეირა მინდია ბობღიაშვილს შეჰყარა, სამხრეთამერიკელის დარტყმული მეკარემ მოიგერია, სხვებზე ადრე ბურთთან მეორე ბრაზილიელი, ტორესი გაჩნდა, დაამატა კიდეც, მაგრამ ბურთი სერგო ორბელაძემ კარის ხაზიდან გამოიტანა. ერთ წუთში თავად ტორესს მოხვდა იონანიძის ძლიერ დარტყმული ბურთი და მეტოქე უნებურად გადაარჩინა.

„ზესტაფონმა" ბურთი კი დაიჭირა, მაგრამ სახიფათო მომენტი 86-ე წუთამდე აღარ შექმნილა. ამ წუთზე კი იონა საჯარიმოს მისადგომებთან წააქციეს, სანამ ბოლნისელთა მეკარე და ფეხბურთელები მსაჯთან ურთიერთობას არკვევდნენ, იონანიძემ ცარიელ კარში დაარტყა და... აცილა.

ბოლნისელები ქულას ბობღიაშვილსაც უნდა უმადლოდნენ. მსაჯის წამატებული წუთები იწურებოდა, როდესაც სანტოსმა თავით ძლიერად დაარტყა და ბობღიაშვილმაც შესაშური რეაქცია გამოავლინა...

## პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* ძალიან საინტერესო და სანახაობრივი მატჩი იყო. მეორე ტაიმი უკეთ ვითამაშეთ, რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ფეხბურთში კი მთავარი გოლია. ჩვენი ყველაზე დიდი ხარვეზი სწორედ ეს არის... რამდენიმე ფეხბურთელმაც ჩვეულად ვერ ითამაშა, უფრო ლეგიონერებს ვგულისხმობ.

*კახა ცხადაძე:* კარგი თამაში იყო, მოგება ორივე გუნდს შეეძლო. პირველ ტაიმში ჩვენ ვივარგეთ, მეორეში — მეტოქემ. მთლიანობაში ფრე ალბათ ლოგიკური შედეგი იყო.



# საქართველოს 18 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## II წრე. 24 ტური



# წინამძღვრიშვილის წანამძღვარი
# ერთიც, აბრეზ, ერთიც!

თბილისი. 12 მაისი. 17 საათი. შევარდენი. 300 მაყურებელი

### მერანი 0:6 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1, 0:2, 0:3 წინამძღვრიშვილი (11, 45, 52), 0:4 კაკაშვილი (75), 0:5 დავითაშვილი (85), 0:6 ტატანაშვილი (88) | |
| მერანი: ხეჟიაშვილი, კეტაშვილი (ფურცელაძე 68), აბშილავა, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, ბურჯანაძე (ცისკარაული 57), ბესარაშვილი, ზედელაშვილი, გაგუა (ჩივაძე 65), ჯანგიძე, ქორიძე<br>სათადარიგონი: ლომიძე, ქემაშვილი, ფურთუხია, დეისაძე<br>მწვრთნელი: ასლან ბალაძე | ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (კაკაშვილი 37), დოლიძე (მესხი 63), დობროვოლსკი, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 55), ს. დავითაშვილი<br>სათადარიგონი: ნაჭყებია, გაბისკირია, ჯელაძე, ჩიმაკაძე<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: ელბაქიძე (27), ბესარაშვილი (54) | |
| მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ლ. მიქელაძე, ი. ურუშაძე; დ. სანაია | |
| დამკვირვებელი: ო. გუნთაძე | |

კოტე კეკელია

შაბათს „მერანისთვის" სანუგეშო ერთი ამბავი მაინც მოხდა — „ჩიხურა" ბათუმში დამარცხდა, რითაც მერანელებმა საპლეიაუტო ადგილიდან თავის დაღწევის კარგი შანსი შეინარჩუნეს.

ანგარიშიდანვე ჩანს, რომ ყველა რგოლში უკეთ მომზადებულმა და მოთამაშე „ამერმა" მასპინძლებს იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა. ისე, რა შვება იქნებოდა, მაგრამ „მერანს" ანგარიშის დასველება ორჯერ მაინც შეეძლო — პირველ ტაიმში სტუმართა კაპიტან გიორგი დავითნიძეს ბურთი ცუდად აეჭრა და ზურაბ ქვაჩახიას მის მოსაგერიებლად ჯაფა დაადგა. მეორე ტაიმში კი მეკარის ბაანში მყოფ გიორგი ჩივაძეს ბურთისთვის ფეხის მირტყმალა აკლდა პრაქტიკულად უეჭველი გოლის გასტანად და ვერ მოახერხა.

ორი არანაკლები — უკეთესი თუ არა — მომენტი „ამერსაც" წაუხდა. მეორე ტაიმში, უკვე 0:3-ზე ჯერ დავით ბოლქვაძე, მერე კი სულიკო დავითაშვილი კონსტანტინე სეფიაშვილთან პირისპირ დარჩნენ, მეკარისთვის ბურთის გადაცილება კი ვერ მოახერხეს. ექვსი გოლი გამტანი გუნდის ორი გამოუყენებელი მომენტისთვის დაძრახვა, რა თქმა უნდა, ძნელია.

52-ე წუთისთვის „ამერს" მერანელთა კარის ჩარჩოში სულ სამჯერ ჰქონდათ დარტყმული, მაგრამ სამივე დარტყმა გოლად აქციეს და სამივეჯერ რატი წინამძღვრიშვილმა იხეირა. რატის რეგიონულ ლიგაში ერთ მატჩში ექვსი გოლიც აქვს გატანილი, საუმაღლესლიგოდ კი პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა. პირველი გოლისას მერანელმა ლევან გრიგალაშვილმა ვერ აიტანა საჯარიმოდან ბურთი, რომელიც რატის მიუვიდა და ანგარიში გახსნა.

ტაიმის ბოლო წუთზე ბოლქვაძემ კუთხურის ხაზთან გიორგი ოსიტაშვილი ჩამოიშორა, გიორგი დეკანოსიძეს ჩააწოდა, ვინც რატის საგოლე პასი გაუკეთა. რატის მესამე გოლისას კი, სანამ მეკარეს ჩამოიშორებდა, ბურთი მერანელ მცველს თავზე გადაახტა და რატიმდე ისე მივიდა.

ეს გოლიც რომ არა, საპირველტაიმო ანგარიშიდანაც ჩანდა, „მერანი" თამაშის გადამრჩენი რომ არ იყო. მესამე გოლმა კი მასპინძლები საბოლოოდ გატეხა და „ამერმა" ისე, განსაკუთრებული ძალისხმევა რომ არ დასჭირვებია, სამს სამიც მიამატა.

წინამძღვრიშვილის ნაცვლად შესულმა დიმიტრი ტატანაშვილმა საუკეთესო პასი გაუკეთა ასევე შეცვლაზე შესულ ვლადიმერ კაკაშვილს, ვინც ბოლო ოთხი წელი ბულგარეთში თამაშობდა და ქართული უმაღლესი ლიგის გოლს პირველად გაუსინჯა გემო.

მერე, როგორც იქნა, სულიკო დავითაშვილის ჯერიც დადგა. როგორც იქნაო, ვქთვით — „აბრეზა", რა ხანია, უმაღლეს ლიგაში მე-100 გოლის მოლოდინშია, ეს გოლი კი მისთვის 99-ე იყო და ზემოთ მეკარესთან პირისპირ გასვლა რომ ვახსენეთ, შეეძლო, ასიანთა კლუბში შაბათსვე შესულიყო.

ერთი საინტერესო სტატისტიკური ფაქტიც: დავითაშვილს ამ მატჩში შვიდი შეტევა შეაწყვეტინა გვერდითი მსაჯის ზეალმართულმა ალამმა.

ის გოლი კი „აბრეზამ" დენის დობროვოლსკის პასით გაიტანა და ალნიშვნას ამ ფეხბურთელის თამაშიც იმსახურებს.

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო საყრდენმა „მერანთან" რამდენიმე მისთვის უჩვეულო ფლანგური რეიდი წამოიწყო და ძალიან კარგადაც — სულიკო დავითაშვილისთვის მიცემული საგოლე პასი უკვე ვახსენეთ და, ამერელთა ბოლო გოლიც, ტატანაშვილმა რომ გაიტანა, სწორედ დობროვოლსკის წამოწყებული და დავითაშვილის გაგრძელებულ კომბინაციას მოჰყვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 53:7 | 59 |
| დინამო | 24 | 18 | 2 | 4 | 48:17 | 56 |
| ამერი | 24 | 16 | 5 | 3 | 50:14 | 53 |
| ზესტაფონი | 24 | 14 | 9 | 1 | 45:10 | 51 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 8 | 4 | 39:24 | 44 |
| სიონი | 24 | 11 | 4 | 9 | 27:20 | 37 |
| ტორპედო | 24 | 9 | 4 | 11 | 22:29 | 31 |
| ბორჯომი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:32 | 30 |
| ბათუმი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:26 | 27 |
| ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 17:32 | 24 |
| ჩიხურა | 24 | 5 | 6 | 13 | 13:36 | 21 |
| მერანი | 24 | 4 | 8 | 12 | 15:41 | 20 |
| დილა | 24 | 2 | 5 | 17 | 15:55 | 11 |
| კახეთი | 24 | 0 | 2 | 22 | 20:74 | 2 |

ბათუმი. 12 მაისი. 17 საათი. აჭარა. 150 მაყურებელი

### ბათუმი 3:0 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 ბეჟანიძე (37, 39), 3:0 ნერგაძე (45) | |
| ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, უ. ლობჟანიძე, თედორაძე, ხოხონიშვილი, კ. შალამბერიძე, ცანავა (ა. ბაჟელიძე 70), ნერგაძე, ბეჟანიძე, დარსაძე (მახარაძე 80), ვ. კვარაცხელია (ტულუში 75)<br>სათადარიგონი: ბექთაშევი; კერესელიძე<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | ჩიხურა: სტურუა, ლ. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, დ. გიგაური, გვეტაძე, ბურცხიკიძე, კ. მახარაძე (ჩარგეიშვილი 46), ზაბახიძე, როგავა, მიქაძე, ჯ. დვალი<br>სათადარიგონი: მწყერიშვილი; ქუხილავა<br>მწვრთნელი: ვახტანგ თურმანიძე |
| გაფრთხილება: დვალი (35), კ. მახარაძე (45) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე; გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე; კ. ქაჩუა | |
| დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე | |

# გაიღვიძე, ბებო, მორჩა თამაში

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მასპინძლებს პირველ ტაიმშივე შეეძლეს მატჩის ბედის გადაწყვეტა და ამის საფუძველი დასაწყისშივე შექმნეს. ჯერ კობა შალამბერიძის ეფექტური დარტყმისას ივარგა ზვიად სტურუამ, მერე კი გენო ბეჟანიძეს მცირედით აუცდა მიზანი.

21-ე წუთზე მასპინძლები ძელმა იხსნა — ლაშა ვაშაკიძის საჯარიმო დარტყმას „მედგრად დაუხვდა" და, აი, ამის მერე იყო, ბეჟანიძის დროც რომ დადგა.

37-ე წუთზე შალამბერიძემ ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ვახტანგ კვარაცხელიამ ბურთს მიმართულება შეუცვალა და ბეჟანიძე მეკარეს შეატოვა, ამანაც აულელვებლად და ეფექტურად გაიტანა — მეკარე მარცხენა კუთხეში დააწვინა, ბურთი კი მარჯვენაში გაუშვა — 1:0. ორიოდ წუთში სიტუაცია განმეორდა: ისევ კვარაცხელია, მისი უზუსტესი პასი და ისევ ბეჟანიძე სტურუას პირისპირ — 2:0.

ბათუმელთა მესამე გოლი ტაიმის მიწურულს გავიდა. ვასილ კუნჭულიას მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ნერგაძემ მარჯვე თავური შეაგება და, რომ იტყვიან, შიგ ცხრიანში შეაგდო — 3:0.

მეორე ნახევარი ისეთი უინტერესო გამოდგა, რომ მზესუმზირის გამყიდველი ბებოც კი შელონდა. კლიენტების შემოფანტვის გამო ხუთი წუთი ფეხბურთის ცქერა მოუხდა და, აი თუ ფეხბურთია, ყოლიფერი ყოლიფერია, დემეძინა ნენაო.

„მესემიჩკეს" კი არა, ლამის მაყურებლებსაც და ჟურნალისტებსაც ჩაგვეძინა, თუმც იყო ორი ეპიზოდი, რომელმაც გამოგვაფხიზლა. ჯერ კვარაცხელიამ დაარტყა ჯარიმა და ძელს გაარტყა, მერე კი ბეჟანიძემ მცველს მოპარა ბურთი, სტურუასთან პირისპირ დარჩა, ოღონდ ამჯერად მათი დუელი მეკარის გამარჯვებით დასრულდა.

ბორჯომი. 12 მაისი. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

### ბორჯომი 4:1 კახეთი

| | |
|---|---|
| 1:0 კოშკაძე (8), 2:0, 3:0, 4:0 ჯიქია (41, 50, 54), 4:1 ბიძინაშვილი (71) | |
| ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ლონლაძე (ლომიძე 56), გოგიჩაიშვილი, შ. ჯიქია, კოშკაძე (ლაზარიშვილი 64), კაიდარაშვილი (რ. კვერნაძე 74), ნადირაშვილი, შ. გრიგალაშვილი<br>სათადარიგონი: ასაბაშვილი; კაკალაძე, საყვარელიძე<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | კახეთი: გ. იაშვილი, კველიშვილი, მურველაშვილი, იოსებაშვილი (ბიბილაშვილი 55), გერგიშვილი, ჩუთლაშვილი (მედოევი 75), კუპრაშვილი, აბდულაევი (მელიქიშვილი 46), ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი, გ. ხიდეშელი<br>სათადარიგონი: ცუცქარაშვილი; ბურნაძე<br>მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი |
| გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (57), გერგიშვილი (62), კველიშვილი (64) | |
| მსაჯები: ო. ხეცაძე; ზ. მენთეშაშვილი, ა. გუნთაძე; პ. დოგრაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. დურსუნიში | |

ს.კ. ლოკომოტივი ანხორციელებს ს.კ. ბარსელონას ტალანტების მოძიების პროგრამას და ატარებს სელექციას 1995-2001 წლებში დაბადებულ ბავშვებში. რეგისტრაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ 14 მაისიდან 27 მაისამდე 10-დან15 საათამდე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. ჭავჭავაძის გამზ. 74. საკონტაქტო ტელეფონი 23-04-58. თან იქონიეთ ბავშვის დაბადების მოწმობა და ფოტოსურათი, მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · II წრე. 24 ტური

# ერთი და ნაღდი ლიდერისთვის

გორი. 12 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 2 000 მაყურებელი

## დილა 0:1 ოლიმპი

| | |
|---|---|
| 0:1 გოცირიძე (61) | |
| დილა: კუხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ყველაშვილი (ტლაშაძე 83), გ. ვარდოსანიძე, სადალაშვილი, კ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ბ. ჩიტაია (სამადაშვილი 75), გონჩაროვი (სულთანიშვილი 57) სათადარიგონი: სოლოლაშვილი; კურტანიძე, ნოზაძე, კობახიძე მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, მახვილაძე, გ. ონიანი, ქიქვეიშვილი, ნავალოვსკი (გეწაძე 46), ქებაძე, აფციაური (წხარტიშვილი 87), რ. გოცირიძე, ძამსაშვილი, გ. კახელიშვილი (ბერუაშვილი 79) სათადარიგონი: ხარშილაძე, სიგუა მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი |
| გაფრთხილება: სამადაშვილი (78) | |
| მსაჯები: ა. კრიჟაშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე; დ. ხარიტონაშვილი | |
| დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე | |

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**ბოლოხანს** მასპინძლებმა ბრძოლისუნარიანობით გამოიჩინეს თავი და ასე იყო ლიდერ „ოლიმპთანაც“.

ჩემპიონობის მაძიებლისა და ლიგაში დარჩენაზე მეოცნების მატჩი ფრთხილად და თანაბარი ორთაბრძოლით დაიწყო — ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა.

მოგვიანებით ტემპმა იმატა და სტუმრებმაც მცირე უპირატესობა მოიპოვეს — ფლანგებზე გიორგი ნავალოვსკი და გიორგი სეთურიძე აქტიურობდნენ, თუმცა „ოლიმპს“ მაინც სიმძიმე ეტყობოდა...

„დილა“ კი ძირითადად გრძელი პასებითა და შორიდან დარტყმებით ცდილობდა ხიფათის შექმნას.

პირველ ტაიმში მხოლოდ ორი მომენტი იყო აღსანიშნავი: 24-ე წუთზე თორნიკე აფციაურს შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ საჯარიმოში მყოფმა არაზუსტად დაარტყა.

29-ე წუთზე კი ლომაშვილმა გრძელი რეიდი შეასრულა მარცხენა ფლანგზე, საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ იჩქარა და...

მეორე ნახევარი სტუმრებისა გამოდგა. შეცვლაზე შესული რევაზ გეწაძე სახიფათოდ მოქმედებდა ფლანგზე და მისი მწვავე გარღვევები დიდ პრობლემად ექცათ მასპინძლებს.

გეწაძეს 49-ე წუთზე შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ დააგვიანა.

61-ე წუთზე კი გოლიც ვნახეთ. დავით ჭიჭვეიშვილის თავური ძელს მოხვდა, დამატებული მეკარემ მოიგერია და სწორედ ამ კუთხურს მოჰყვა გოლი: აფციაურის ჩაწოდებულზე რევაზ გოცირიძემ იმარჯვა და თავით შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი — 0:1.

ამან სტუმრებს თავდაჯერება შემატა, თანაც გორელებს დაღლაც დაეტყოთ.

„ოლიმპს“ მატჩის ბოლოს რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, თუმცა საბოლოოდ ერთი გოლი იკმარა.

### პრესკონფერენცია

*რევაზ ძოძუაშვილი:* ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა და ასეც მოხდა. კარგი თამაში გამოვიდა. დამაჯერებლობა იმიტომ გვაკლდა, რომ წინა ტურში „დინამოსთან“ ბევრი ძალა დავხარჯეთ და გუნდმა აღდგენა ვერ მოასწრო.

*მამუკა ვარდოსანიძე:* პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, მერე კი დავიღალეთ და მეტოქემ გვაჯობა. ვთვლი, რომ „დილას“ თავი არ შეურცხვენია.

# ქარწაღებული ბურთი და წყალწაღებული ამბავი

## სტადიონის სვარკას ტელევიზორის სვარკა ჯობია




**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**ამ** შეხვედრას მეტოქეთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია და აკი ბევრი გულშემატკივარი ფრეს წინასწარმეტყველებდა, მაგრამ თბილისელებმა ბოლომდე იბრძოლეს. გიორგი კიკნაძემაც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ „ტორპედოს“ თავკაცობდა და მისი სუსტი მხარეები კარგად იცოდა, ტაქტიკური ბრძოლა მოუგო დებიუტანტ კოლეგა დავით ჯანაშიას.

სტუმრებმა სახიფათო მომენტი მეექვსე წუთზევე შექმნეს: გოჩაშვილის სახიფათო პასს მიხეილ ფლენტი ვერ შეწვდა. მე-8 წუთზე კი თბილისელებმა მაინც გაიხარეს — ირაკლი მალიჩავას ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ბურთს მიმართულება ძლიერმა ქარმა შეუცვალა და მოულოდნელად „ტორპედოს“ კარში ამოჩნდა. ქუთაისელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს — 35-ე წუთზე ლევან კიკვიძემ გია იმედაძე მეკარეს ნახევარ მეტრში შეატოვა, ბურთი ჯერ მეკარეს მოხვდა, ისევ იმედაძეს მოუვიდა და მანაც, როგორც იქნა, გაათანაბრა. ქუთაისელ ლევან კირკიტაძეს ბოლო წუთზეც მართებდა გატანა, თუმცა ბურთი ძელს გაარტყა.

შესვენებაზე კიკნაძემ ორმაგი ცვლილება განახორციელა, რამაც შედეგი 54-ე წუთზე გამოიღო — მიხეილ სოსელიამ კარგად უპასა მიხეილ ფლენტს, რომელმაც ორი ქუთაისელი გააბითურა და სტუმრები დააწინაურა. 79-ე წუთზე კი გოჩაშვილმა შორი დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა — 1:3.

ამის შემდეგ გულშემატკივარი აიშალა და არაერთმა „დაიბარა“, ამათ ყურებას სერიალს ვუყურო, ის მირჩევნიაო.

როგორც ჩანს, ქართულ ფეხბურთს აქტუალობით ლათინოამერიკული კინოსისულელეები ენაცვლება...

ქუთაისი. 12 მაისი. 17 საათი. ტორპედო. 1 000 მაყურებელი

## ტორპედო 1:3 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 0:1 მალიჩავა (8), 1:1 იმედაძე (35), 1:2 ფლენტი (54), 1:3 გოჩაშვილი (79) | |
| ტორპედო: ქვილითაია, ა. კვერნაძე, ლალაძე, ტაბიძე, ნ. კირკიტაძე, ზივზივაძე, მ. ლონლაძე (ხურციძე 59), კიკვიძე, ნ. ნადირაძე (დანელია 62), ზ. ჩხეტიანი (გორგოძე 66), იმედაძე სათადარიგონი: ხურცილავა, გოდერიძე, მდივნიშვილი, ოდიშარია მწვრთნელი: დავით ჯანაშია | ლოკომოტივი: მიგინეიშვილი, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, დ. ფოფხაძე, მალიჩავა, ბარბაქაძე (სოსელია 46), მ. ფლენტი, სამხარაძე (ჩომახიძე 46), კუპრეიშვილი (ალავერდაშვილი 57), ვ. გოჩაშვილი სათადარიგონი: ზუხბაია, ბახტაძე, ნ. კირკიტაძე მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |
| გაფრთხილება: თუთბერიძე (41), მიგინეიშვილი (75) ფლენტი (90) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ლ. თოდრია, ზ. ფიფია; ჯ. ბუიშვილი | |
| დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია | |

# გეხსომებათ დე პორასი

## როსარიომ ბორჯომი რუსეთს მიაკუთვნა



**ვინც** საქართველოს ჩემპიონატს თვალს ადევნებს, შეუძლებელია, არგენტინელი გონსალო დე პორასი არ ახსოვდეს — მაღალმა, ტანხმელმა და ტექნიკურმა თავდამსხმელმა წინა სეზონის მეორე წრეში „ბორჯომში“ მძლავრად ითამაშა, ჩვენს ჩემპიონატში უდავოდ გამორჩეული ფეხბურთელი იყო. მისი თამაშის სანახავად ბორჯომის სტადიონზე გოგო-ბიჭები არგენტინის დროშით ლოყაშეღებილები დადიოდნენ.

დე პორასი ვერც „ბორჯომმა“ შეინარჩუნა და ვერც სხვა ქართულმა გუნდმა. შარშან ზაფხულს სამშობლოში გაბრუნდა და ახლა არგენტინის ერთ-ერთ სახელოვან კლუბ „როსარიო სენტრალში“ თამაშობს. „როსარიო“ არგენტინის აპერტურაში ამჟამად მეთორმეტე ადგილზეა, თუმც დე პორასი ისეთი ცნობილი ფეხბურთელების გვერდით ბურთაობს, როგორებიც კილი გონსალესი და რობერტო აკუნია არიან.

და ერთიც: გულდასაწყვეტია, მაგრამ „როსარიოს“ ვებგვერდზე დე პორასის გვარის გასწვრივ მისი ყოფილი კლუბებია ჩამოთვლილი და „ბორჯომის“ ნაცვლად „Bjorn Bjorn De Rusia“ წერია — ბორჯომი ხომ არ წერია სწორად და, არგენტინელებისთვის რუსებიც ვყოფილვართ.

**ილია ნანობაშვილი**

# მალხაზ, დაბრუნდი!



**2004 წელი:** რუსეთის ჩემპიონი;

2005 წელი: რუსეთის სუპერთასის მფლობელი;

2005 და 2006 წლები: რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი;

2005 წელი: ესენგეს ჩემპიონი;

2005 წელი: რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მცველი და ლეგიონერი.

რაღა დარჩა? ერთადერთი, რუსეთის თასი აკლია მალხაზ ასათიანს და ამ ქვეყანაში სრულ კომპლექტს შეკრავს. ეს კი, დიდი შანსია, 27 მაისს მოხდეს — ფინალში ასათიანის „ლოკომოტივი“ და „მოსკვა“ ხვდებიან.

ფინალში მალხაზის თამაში საეჭვო კი არა, თითქმის გამორიცხულია, მაგრამ, რაც მთავარია, მისი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება და მაისის ბოლოსთვის ექიმებს საბოლოოდ დაეხსნება.

უკვე ექვს თვეზე მეტია, მალხაზი ვერ თამაშობს. უმძიმესი ტრავმის მოშუშებამ მართლაც ბევრი დრო წაართვა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულია — ასათიანი სრული დატვირთვით ვარჯიშობს, ოღონდ არ ჩქარობს...

„ახლა აჩქარებამ და დაუფიქრებელმა დაბრუნებამ, შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩამიყაროს. ვატყობ, ნელ-ნელა უკეთ ვარ და ყველაფერი კარგად მიდის, ამიტომ მირჩევნია, ბოლომდე მოვემზადო და მერე დავბრუნდე. უკვე ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ“ — გვითხრა გუშინ მალხაზმა და ალბათ მართალიცაა — ამდენხნიანი უქმობის შემდეგ დაშავებულ მუხლს მომაგრება და დატვირთვების შეჩვევა რომ სჭირდება, სპორტში ოდნავ ჩახედულმაც კი იცის.

„ტკივილები აღარ მაქვს, ვარჯიშითაც ვვარჯიშობ და ორმხრივ მატჩებშიც ვთამაშობ, თუმცა მაისის ბოლომდე „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას გამოვრიცხავ. ორიოდ კვირაც და...“

ორიოდ კვირაც და, მალხაზი მზად იქნება — რკინიგზელთა თავკაცი ანატოლი ბიშოვეცი უკვე ლამის თითებზე ითვლის დღეებს. მას არაერთხელ უთქვამს, ასათიანი ჩვენთვის უდიდესი ძალააო და ჩვენებურს ვარჯიშისას თუ მის შემდეგ თურმე გამორჩევითაც ესაუბრება. ვარჯიშის მერე კი...

„მალხაზ ვერნის!“ — ასეთი შეძახილებით ხვდებიან ქომაგები სტადიონიდან გამოსულ ასათიანს...

**ძახა შალამბერიძე**

PLAYOFFS 2007

# თვალი ცხვირის წილ

## ლებრონ ჯეიმსმა ხარისხი გააფუჭა



მანუ ჯინობილს კინაღამ თვალი დაუფსეს

### აღმოსავლეთი

11-12 მაისი

**კლივლენდი 2:1 ნიუ ჯერსი**

ნიუ ჯერსი 96:85 კლივლენდი

ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 14 პასი, 13 მოხსნა), კარტერი (23), ჯეფერსონი (23)
კლივლენდი: პიუზი (23), ჯეიმსი (18 ქულა, 12 პასი), გუდენი (12), ილგაუსკასი (11)

### დასავლეთი

**ფინიქსი 1:2 სან ანტონიო**

სან ანტონიო 108:101 ფინიქსი

სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 19 მოხსნა), ჯინობილი (24), პარკერი (16)
ფინიქსი: მერიონი (26), სტუდემაიერი (21), ნეში (16 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), ბელი (12)

**იუტა 2:1 გოლდენ სტეიტი**

გოლდენ სტეიტი 125:105 იუტა

გოლდენ სტეიტი: დევისი (32 ქულა, 9 პასი, 6 ჩაჭრა), რიჩარდსონი (25), პარინგტონი (15), პიეტრუსი (14), ბიედრინსი (13 ქულა, 13 მოხსნა)
იუტა: ბუზერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ოქური (15), კირილენკო (15), უილიამსი (14)

„ფინიქსი“ და „სან ანტონიო“... ნეტავ, ამ სერიაში თვლემს მომავალი ჩემპიონი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს სერია ყველაზე ვნებიანი და დამაინტრიგებელია. ორივე გამოცდილი საპლეიოფო გუნდია და ორივესთვის მიზანი ერთია — ჩემპიონობა. ვნახოთ, ვინ ვის!

ჯერ კი „სან ანტონიო“ მძლავრობს. გრეგ პოპოვიჩის სამგზის ჩემპიონი გუნდი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეორედ დაწინაურდა სერიაში. ნათქვამია, სისხლი სისხლის წილო და ფინიქსელებმა თავიანთ ლიდერ სტივ ნეშის გადაპობილი და ექვსნაკერდადებული ცხვირის წილ სანანტონიოელ მანუ ჯინობილის თვალი ჩაულურჯეს. ეს მესამე მეოთხედის მიწურულს მოხდა, მაგრამ უხეშობამაც ვერ იხსნა „ფინიქსი“. ჯინობილი იმ მომენტში პირდაპირ დაფრინავდა, მესამე მეოთხედის ბოლო 2 წუთში 10 ქულა (!) გააკეთა და ბოლო მეოთხედის წინ 8-ქულიანი უპირატესობა შეუქმნა თავის გუნდს. უკანასკნელ 12-წუთეულში კი „სან ანტონიოს“ თავად ტიმ დანკანი გაუძღვა, რომელმაც 13 ქულა ამ პერიოდში ჩააგდო, სულ 33 გააზერხა და სამი მატჩის ჯამში 95 (საშუალოდ 31,7) მოუგროვდა.

მეორე დასავლურ წყვილში იუტელ „ჯაზმენებთან“ სხვაობა შეამცირეს გოლდენსტეიტელმა „მეომრებმა“ — მათ ორი გასვლითი მარცხის შემდეგ შინაურ კედლებში დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეს და ამბიციური განაცხადიც გააკეთეს — „დალასის“ ძლევა შემთხვევითობა არ იყო, „იუტასთანაც“ შეგვიძლია თამაშიო. კი შესძლებიათ — უკვე პირველ ტაიმში 30 ქულით გაექცნენ, მერე კი „ჯაზმენებმა“ ბოლო მეოთხედში ეს სხვაობა რომ გაანახევრეს, „მეომართა“ საველე წინამძღოლმა ბარონ დევისმა საოცარი რამ გააკეთა — თავისზე 15 სანტიმეტრით მაღალ ანდრეი კირილენკოს ლამის თავზე გადააფრინდა და ცალი ხელით დააცხრა კალათს. კირილენკოსთვის ეს დიდი ხანია არავის გაუბედავს, რუსი ფორვარდი ნბა-ში საუკეთესო დამფარებლად ითვლება, აგერ „გოლდენ სტეიტთანაც“ ამ სამ შეხვედრაში 16 დაფარება აქვს ყულაბაში.

აღმოსავლეთში ამ ორ დღეში მხოლოდ ერთი წყვილი გაისარჯა. 2002 და 03 წლების ფინალისტმა „ნიუ ჯერსიმ“ კლივლენდში ლებრონ ჯეიმსის „კავალერიასთან“ ორი მარცხის შემდეგ შინ მძლავრად გაიბრძოლა და იმარჯვა კიდეც. მოგებულთა 34 წლის ლიდერმა ჯეისონ კიდმა 23 ქულით, 14 პასით და 13 მოხსნით პლეი ოფებში თავისი მე-11 სამმაგი დუბლი მიითვალა და ლეგენდარულ ლარი ბერდს გადაასწრო. ამ მხრივ კი პირველი ადგილი ბერდის თანამედროვე მეჯიქ ჯონსონს უკავია — 25 სამმაგი დუბლი პლეი ოფებში.

ლებრონის „კლივლენდისთვის“ ეს მარცხი პირველი იყო მიმდინარე პლეი ოფში. თავად ლებრონმა კი კარიერაში მე-20 სათასო შეხვედრა ჩაატარა და პირველად ვერ შესწვდა 20-ქულიან თამასას.

# ამერიკა ევროპელისთვის

## დირკ ნოვიცკი: ახალი კაცი ძველ ლიგაში





AFP

ნბა-ს ჯერ არ გამოუქვეყნებია გამოკითხვის ოფიციალური შედეგები, მაგრამ როგორც კლუბ „დალას მავერიკსიდან“ ხმები გამოდის, სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ ამ კლუბის გერმანელი ლიდერი დირკ ნოვიცკია დასახელებული.

ნოვიცკის კარიერაში საუკეთესო სეზონი არ ჰქონდა, მას 24,6 ქულაზე და 8,9 მოხსნაზე გაცილებით მეტის მოხვეჭა შეუძლია და თანაც, ესეც ხომ გასათვალისწინებელია, რომ „დალასმა“ პლეი ოფის პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილ ანუ პოტენციურად ყველაზე სუსტ გუნდ „გოლდენ სტეიტთან“ წააგო, მაგრამ MVP-ს უპრესტიჟულესი ტიტული მაინც ნოვიცკის შეხვდება, როგორც რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდის საუკეთესო მოთამაშეს.

„დალასი“ კი რეგულარულში მართლაც გრგვინავდა — 82 თამაშიდან 67 მოიგო, რაც კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგს 7 გამარჯვებით აღემატება და თანაც მე-6 შედეგია ნბა-ს 60-წლიან ისტორიაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სწორედ დირკ ნოვიცკის და არა სხვას შეხვდა ყველაზე დიდრონი პირადული ტიტული და ის პირველი ევროპელია, ვინც ასე დააფასა ამერიკამ.

**კოტე ყორშია**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

## ქალები. 12 მაისი. თბილისი



# ჯიკოს უჯიკეს

თბილისი 3:0 ჯიკო

*25:16 25:22 28:26*

თბილისი: კოროშინაძე, ჭაუჭიძე, მძელური, პაპიძე, ყიფშიძე, ბანძელაძე, ლომიძე, ალიბეგაშვილი, ნიქარიშვილი, დანელია
მწვრთნელი: პაატა ულუმბერაშვილი
ჯიკო: არველაძე, ლვინჯილია, დავითულიანი, არაპეტიანი, გეგუჩაძე, იოსებაშვილი, კახაძე, შენგელია, გაბაშვილი, მიქაძე
მწვრთნელი: ნუგზარ მიქაძე
*მსაჯი: ნინო მლებრიშვილი*

„დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად მეტოქის სიძლიერისა, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ“ — განაცხადა ქალთა ჩემპიონატის პირველი საპლეიოფო მატჩის შემდეგ „თბილისის“ მთავარმა მწვრთნელმა პაატა ულუმბერაშვილმა. მართლაც, მცირერიცხოვანი გულშემატკივრების შეძახილებითა და ტამტამების ბრაგუნით გამხნევებულმა თბილისელმა გოგონებმა ანგარიშით 3:0 პირწმინდად დაჩაგრეს ჯიხაიშელი ფრენბურთელები.

საპლეიოფო მატჩი 21 მაისს ჯიხაიშში გაიმართება.

**ზურაბ მიგრიაული**

პლაჟის ფრენბურთი

# გეორ-გიას სარეკორდო მანამა





**ბაჰრეინის** მთავარქალაქ მანამას მსოფლიო ტურზე ქართულმა წყვილმა გეორ და გიამ პირადი რეკორდი დაამყარა. ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა მსოფლიო ტურზე მე-5 ადგილი დაიკავეს და სარეიტინგო ქულებთან ერთად 10 ათასი დოლარი მოინაგრეს.

საკვალიფიკაციო ეტაპზე და ძირითად ბადეში ზედიზედ ორ-ორი მატჩის მოგებას გეორ და გიამ ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილ გერმანელებთან ბრინკასთან და დიკმანთან 0:2 წაგება მიაყოლეს, თუმც პლაჟის ფრენბურთში, ძირითად ბადეში ერთი წაგების უფლება ყველას აქვს და ჩვენებმაც ტურნირი განაგრძეს. გეორ-გიამ ამის შემდეგ ავსტრალიელებს დოპლერს და გარტმაირეს 2:0 მოუგეს და მათ გზას გერმანელები რეკერმანი და ურბაცკაც გაუყენეს. ჩვენებს ერთი მატჩის მოგებაღა რჩებოდათ ნახევარფინალში გასასვლელად, მაგრამ ძალა აღარ ეყოთ და ჰოლანდიურ წყვილთან 1:2 წააგეს. საბოლოოდ, როგორც ვთქვით, გეორ და გიამ მე-5 ადგილი დაიკავეს და 360 ქულით მსოფლიო რეიტინგში მე-16 ადგილზე არიან, ხოლო ბაჰრეინული ტური სწორედ ჩვენებურმა მძლეველმა ჰოლანდიელებმა მოიგეს.

**ბაჩო სვანიძე**



# როჯერაჭრილი

**როჯერ ფედერერი** აიჭრა. სამი წელია, კაცი თამაშს თამაშზე იგებდა და წელიწადში ერთი-ორჯერ, თიხნარზე, რაფაელ ნადალთან თუ წააგებდა, ხოლმე. წლეულს კი ჯერ ჰარდზე, თანაც გილერმო კანასთან დამარცხდა ორჯერ, მერე, რაღა სათქმელია და მონტე კარლოს თიხაზე ნადალთან წააგო და რომაულ გრუნტზე კი, სულაც ფილიპო ვოლანდრისთან შერცხვა.

ჰოდა, აიჭრა. როგორი ამბავია, გულში დიდი სლემის გაკეთება გედოს, საამისოდ „როლან გაროსზე" მოგება გინდოდეს და მავან ვოლანდრისთან აგებდე.

აიჭრა კაცი და ისეთი პირი უჩანს, ამ აჭრილის დალაგებას კარგა გვარიანი დრო დასჭირდება.

ჰოდა,რომ აიჭრა, ამ აჭრას გამართლება ხომ უნდა და საკუთარ თავს ხომ არ დააბრალებდა, მით უმეტეს ბოლო, დიადი წლების ფონზე — მწვრთნელი გაუშვა!

წარსულის ლეგენდა, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ავსტრალიელი ვარსკლავი ტონი როუჩი ორწელიწადნახევარი მუშაობდა როჯერ ფედერერთან და შვეიცარიელმა თავისი სიდიადე, სწორედ ამ ორწელიწადნახევარში მოიპოვა და დაამტკიცა.

როუჩთან თანამშრომლობის პერიოდში „როლან გაროს" იქით ყველაფერი ფედერერისა იყო და ახლა კი, მიყოლებით ოთხი მარცხის შემდეგ, როჯერმა ტონი გაუშვა.

ძნელი სათქმელია, ამით რაიმე მოიგოს, მით უმეტეს, რომ რაფაელ ნადალი თავის თიხნარზე ყველაფერს იგებს და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, პარიზშიც არ გაიკარებს ახლოს ფედერერს.

დიადი პიტ სამპრასი წლობით წვალობდა, პერმანენტულად ცვლიდა მოსამზადებელი პერიოდის რაობას, მაგრამ „როლან გაროსზე" მაინც ფლავდებოდა ხოლმე.

როგორც ჩანს, ფედერერსაც იგივე ბედი ელის და ძნელი წარმოსადგენია, როუჩთან ურთიერთობის გაწყვეტამ ამ საქმეს უშველოს.

**მასტერსი. რომი. იტალია. თიხნარი**

საპრიზო 2 200 000 $

**მეოთხედფინალი**

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (5, სერბეთი) 6:2 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 1:6 6:3 6:3; ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3 6:4; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — ტომაშ ბერდიხი (12, ჩეხეთი) 6:2 6:3

**ნახევარფინალი**

ნადალი — დავიდენკო 7:6 6:7 6:4; გონსალესი — ვოლანდრი 6:1 6:2

**ფინალი**

ნადალი — გონსალესი 6:2 6:2

**ქალები**

ბერლინი. გერმანია. თიხნარი საპრიზო 1 340 000 $

**მეოთხედფინალი**

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (5, სერბეთი) 3:6 6:4 6:4; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — ნადია პეტროვა (7, რუსეთი) 7:6 6:4; ანა ივანოვიჩი (12, სერბეთი) — პატი შნიდერი (15, შვეიცარია) 7:5 3:6 6:4; იულია ვაკულენკო (უკრაინა) — დინარა საფინა (8, რუსეთი) 6:3 5:7 6:3

**ნახევარფინალი**

კუზნეცოვა — ენინი 6:4 5:7 6:4; ივანოვიჩი — ვაკულენკო 4:3 *(უარი)*

**ფინალი**

ივანოვიჩი — კუზნეცოვა 3:6 6:4 7:6

**ქალები**

პრაღა. თიხა. საპრიზო 145 000 $

**მეოთხედფინალი**

მარიონ ბარტოლი (1, საფრანგეთი) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 6:1 6:4; აკიკო მორიგამი (6, იაპონია) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:3 6:1; კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:3 6:1; ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) — დომინიკა კიბულკოვა (სლოვაკეთი) 6:1 6:1

**ნახევარფინალი**

ბარტოლი — ზაკოპალოვა 6:3 6:2; მორიგამი — აზარენკა 6:3 4:5 *(უარი)*

**ფინალი**

მორიგამი — ბარტოლი 6:1 6:3

## პლეი ოფი. ნახევარფინალი

# კანადაში ფინალი დაინახეს

**1993 წლის** შემდეგ, როდესაც პატრიკ რუას დიდებული თამაშის წყალობით „მონრეალმა" თვით დიადი უეინ გრეცკის „ლოს ანჯელესი" შვიდმატჩიან ფინალში დაამარცხა, კანადურ გუნდს სტენლის თასი აღარ მოუგია.

თასს ვინ ჩივის, ამ თოთხმეტი წლის მანძილზე ფინალში ოდენ სამი კანადური გუნდი გავიდა — 1994 წელს „ვანკუვერმა" ასევე შვიდმატჩიან სერიაში წააგო „რეინჯერსთან", 2004 წელს „კალგარიც" მეშვიდე თამაშში დამარცხდა „ტამპასთან" და შარშანაც, „ედმონტონიც" ბოლოსდა, ანუ მეშვიდე შეხვედრის შემდეგღა დანებდა „კაროლინას".

ეს ისტორიაა და წლეულს კი ოტაველ „სენატორებს" ორი ნაბიჯიღა აშორებთ სუპერფინალთან — აღმოსავლეთის ფავორიტად მიჩნეულ „ბუფალოს" „სენატორებმა" მეორე ოვერტაიმის მე-5 წუთზე ჯო კორვოს გატანილი გოლით მეორე გასვლითი მატჩიც მოუგეს და გვარიანი ფორა მიიღეს.

„ბუფალოს" განთქმული და ნაქები დაცვა ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებს კანადური გუნდის დამრტყმელ ტრიოს დანიელ ალფრედსონის, დენი ჰიტლისა და ჯეისონ სპეცას შემადგენლობით და „სენატორებიც" ახლოს არიან იმასთან, რომ „პიტსბურგისა" და „ნიუ ჯერსის" შემდეგ „ბუფალოც" დასცენ და მთავარ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვონ.

დასავლეთში კი ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდა და „დეტროიტმა" მშობლიურ „ჯო ლუის არენაზე" დომინიკ ჰაშეკის დიდებული თამაშის წყალობით აჯობა „ანაჰაიმს".

**აღმოსავლეთი**

**ბუფალო 0:2 ოტავა**

**მეორე მატჩი**

**ბუფალო 3:4 ოტავა**

*2:1 0:2 1:0 0:0 0:1 (მეორე ოვერტაიმში)*

1:0 ვანეკი (4, აფინოგენოვი, რონი), 2:0 პეხტი (7, პომინვილი, ნიმიენი), 2:1 ალფრედსონი (15, ჰიტლი, სპეცა), 2:2 ფიშერი (27, უმრ. მესაროში, პრეისინგი), 2:3 რედენი (40, უმრ. სპეცა, ჰიტლი), 3:3 ბრიარი (60, კონოლი, დრური), 3:4 კორვო (85, სპეცა)

**დასავლეთი**

**დეტროიტი 1:0 ანაჰაიმი**

**პირველი მატჩი**

**დეტროიტი 2:1 ანაჰაიმი**

*1:0 0:0 1:1*

1:0 ზეტერბერგი (4, უმრ. ლიდსტრომი, დაციუკი), 1:1 კუნიცი (42, გეცლაფი, ს. ნიდერმაიერი), 2:1 ჰოლმსტრომი (56, ლიდსტრომი, სამუელსონი)



ჯო კორვოს (შუაში) გოლმა „ოტავა" „ბუფალოსთან" სერიაში 2:0 დააწინაურა

AFP მასალა

## მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

# რუსეთი მოსკოვშიც დადუმდა

**ნახევარფინალი**

**რუსეთი 1:2 ფინეთი**

*1:1 0:0 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 მალკინი (9), 1:1 პენტუნენი (13), 1:2 კოივუ (66)

**კანადა 4:1 შვედეთი**

3:0 1:1 0:0

1:0 კამალერი (12), 2:0 ტოუვსი (13), 3:0 ე. სტაალი (19), 3:1 დავიდსონი (27), 4:1 ნეში (36)

რუსები ამ ერთხელაც დადუმდნენ. თანაც ჰოკეიში, თანაც მოსკოვში.

14 წელია, ამ ჩვენს ძვირფას რუსებს მსოფლიოს ჩემპიონატი არ მოუგიათ და ახლა, რადგანაც NHL-ს აქითა მსოფლიოს ყრილი რუსთა მთავარქალაქში დაიგო, თანაც ოკეანის გაღმიდან ისეთი ყოჩაღი ბიჭები ჩამოვიდნენ, თუნდაც ოვეჩკინი და მალკინი რომ არიან, ამ ჩვენმა ძვირფასმა სლავებმა ბუკი და ნაღარა დაუკრეს — ჩემპიონები გავხდებითო და მეოთხედფინალში ჩეხთა ძლევის შემდეგ, ხომ საერთოდ — რახან ისტორიულ მეტოქეებს ვაჯობეთ, ჩვენი შემჩერებელი აღარავინ არისო, გულზე სული მჯიღს იცემდნენ.

იცენ და იყვნენ — დიდი ფინელის, საკუ კოივუს უმცროსი ძმის, მიკა კოივუს მიერ ოვერტაიმის მე-6 წუთზე გატანილმა გოლმა რუსეთი დაადუმა. თვითონვე ამბობენ და რუსულენოვან ევროსპორტზე წერენ, რუსეთი დადუმდა და მოკვდაო.

ისე უქნიათ, ხმას ნულარ ამოიღებენ.

რუსთათვის ოქრო მოსკოვშიც საოცნებოდ დარჩა და ჩემპიონობისთვის კანადა და ფინეთი იბრძოლებენ. ღმერთმა სიკეთე მისცეს ერთსაც და მეორესაც.

**ფინალი**

**კანადა 4:2 ფინეთი**

**მე-3 ადგილისთვის**

**რუსეთი 3:1 შვედეთი**



კანადელმა ჯონათან ტოუვსმა შვედ იოჰან ბარგლუნდს გაუტანა

AFP მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 58-ე მსოფლიო ჩემპიონატი. მეოთხე ეტაპი




# მასამ მაკები გადაწონა

## ახალი ტონი: თავში ლუის ჰემილტონია

**როგორც იქნა**, უსაშველოდ გაწელილი ოთხკვირიანი ანტრაქტი გასრულდა და მეფორმულეებმა გუშინ სეზონის პირველ ევროპულ ეტაპზე გაიჯირითეს.

ბარსელონიდან 30-იოდე კილომეტრით დაშორებულ „ნესვის მთის“ ტრეკს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ფინიშისწინა მეტად ჩქაროსნული და სახიფათო მოსახვევის ნაცვლად, ახალი, „სამიანი ბმული“ გაჩნდა, რის შედეგადაც ტრასა 28 მეტრით დაგრძელდა და, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად ნელიც გახდა.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი, უკვე მეოთხე კვალიფიკაცია ფერარელმა მოიგო — კერძოდ, ზედიზედ მესამედ ბრაზილიელმა ფელიპე მასამ და მერე ისე გამოვიდა, რომ საათნახევრიან რბოლაშიც არავის დაანება მეწინავეობა და უზარმაზარი უპირატესობით გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, სტარტი კვალიფიკაციაში უსწრაფესმა მასამ მოიგო და მაკლარენელ ალონსოსთან დუელში პოზიციაც საიმედოდ დაიცვა, ოღონდ ესპანელმა სუპერჩემპიონმა დასაწყისში მწვავედ შეუტია ბრაზილიელს და ლამის გაასწრო კიდეც, მაგრამ ბრძოლაში გართული ტრასას გადასცდა, ტემპი დაკარგა და მხოლოდ მეოთხე დაუბრუნდა ტრასას.

ისე გამოვიდა, რომ კონკურენტებმა მასასთან შებრძოლება ვერ შეძლეს და მართალია, კიმი რაიკონენის ძრავის პრობლემების გამო გამოთიშვის შედეგად, იგი „მაკლებთან“ ბრძოლაში ეულად დარჩა, თუმც მაინც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ამის მიუხედავად, ლუის ჰემილტონმა და ფერნანდო ალონსომ მეორე-მესამე ადგილებითაც კი ლიდერობა შეინარჩუნეს.

**გია ახალაძე**



AFP

### რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
**13 მაისი. ბარსელონა**
დისტანცია 66 წრე — 307,104 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მასა (ფერარი) | 1:31:36,2 (201,2 კმ/სთ) |
| 2. | (4) | ჰემილტონი (მაკლარენი) | ჩამორჩა 6,8 |
| 3. | (2) | ალონსო (მაკლარენი) | 17,5 |
| 4. | (5) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 31,6 |
| 5. | (9) | კულთარდი (რედ ბული) | 58,3 |
| 6. | (11) | როსბერგი (უილიამსი) | 59,5 |
| 7. | (8) | კოვალაინენი (რენო) | 1:02,1 |
| 8. | (13) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 9. | (10) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 10. | (12) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 11. | (15) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 12. | (14) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 13. | (20) | სუტილი (სპაიკერი) | 2 წრით |
| 14. | (21) | ალბერსი (სპაიკერი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (7) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | გაირბინა 48 წრე |
| (17) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 46 |
| (16) | ლიუცი (ტორო როსო) | 21 |
| (22) | სპიდი (ტორო როსო) | 11 |
| (3) | რაიკონენი (ფერარი) | 11 |
| (6) | ტრული (ტოიოტა) | 10 |
| (19) | უებერი (რედ ბული) | 9 |
| (18) | ვურცი (უილიამსი) | 4 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მასა 1:20,597 (207,9 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მასა 1:22,68 (202,7 კმ/სთ)

Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ. ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი, მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 6 | 8 | 8 | 8 | | | | | | | | | | | | | | 30 |
| 2 ალონსო, მაკლარენი, ესპანეთი | 8 | 10 | 4 | 6 | | | | | | | | | | | | | | 28 |
| 3 მასა, ფერარი, ბრაზილია | 3 | ■ 4 | ■ 10 | ■ 10 | | | | | | | | | | | | | | 27 |
| 4 რაიკონენი, ფერარი, ფინეთი | ■ 10 | 6 | 6 | – | | | | | | | | | | | | | | 22 |
| 5 ჰაიდფელდი, BMW-ზაუბერი, გერმანია | 5 | 5 | 5 | – | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 6 კუბიცა, BMW-ზაუბერი, პოლონეთი | – | – | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 7 ფიზიკელა, რენო, იტალია | 4 | 3 | 1 | – | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 8 როსბერგი, უილიამსი, გერმანია | 2 | – | – | 3 | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 9 კულთარდი, რედ ბული, დ. ბრიტანეთი | – | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ტრული, ტოიოტა, იტალია | – | 2 | 2 | – | | | | | | | | | | | | | | 4 |

კოვალაინენი — 3 ქულა, სატო — 1, შუმახერი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** მაკლარენი — 58 ქულა, ფერარი — 49, BMW-ზაუბერი — 23, რენო — 11, უილიამსი — 5, ტოიოტა — 5, რედ ბული — 4, სუპერ აგური — 1



Giro d'Italia

# 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი



წლევანდელი „ჯიროს“ პირველი ჯგუფური ეტაპი რობი მაკივენმა მოიგო

AFP

**12 მაისი. I ეტაპი. კაპრერა — ლა მადალენა. 26 კმ (გუნდური)**

| | |
|---|---|
| 1. ლიქუიგასი (იტალია) | 33 წთ 38 წმ |
| 2. ასტანა (ყაზახეთი) | +13 წმ |
| 3. CSC (დანია) | +30 წმ |
| 4. ლამპრე (იტალია) | +42 წმ |
| 5. დისქავერი (აშშ) | +49 წმ |

**13 მაისი. II ეტაპი. ტემპო პაუსანია — ბოსა. 205 კმ**

| | |
|---|---|
| 1. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 5 სთ 7 წთ 13 წმ |
| 2. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | |
| 3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“) | |
| 4. ასან ბაზაევი (ყაზახეთი, „ასტანა“) | |
| 5. მასიმილიანო პაჩეზე (არგენტინა, „პანარია“) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | 5 სთ 40 წთ 51წმ |
| 2. ენრიკო კასპაროტო (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 3. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 4. კარლ ვეგელიუსი (გერმანია, „ლიქუიგასი“) | |
| 5. ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი“) | ყველას იგივე დრო |

# შავი ზღვა ოკეანეში ჩაიკარგა

**პროფესიული** სუმოს პირველი ქართველი სეკიტორისთვის სეზონის მესამე დიდი ბაშო ცუდად დაიწყო. ექსკომუსუბი ლევან ცაგურიამ გუშინ დაწყებული თხუთმეტტურა ტურნირის პირველ წრეში თავისზე გამოცდილ და მაღალრეიტინგიან დეკაკუცთან წააგო. ოძეკის წოდების შესანარჩუნებლად შემართულმა 31 წლის „უსასრულობის ოკეანემ" „შავი ზღვა" ილეთზე გამოიჭირა, ჰაერში ასწია და წამის მეათედში მომგებიანი ქულაც მიითვალა.

კოკაიდ წოდებულ ჩვენებურს დღეს კიდევ უფრო მრისხანე მეტოქე ელის. 22 წლის ოძეკი ხაკუხო მიმდინარე ბაშოზე ალბათ ყველაზე მეტად მოტივირებული და მონდომებულია უმაღლესი დივიზიონის 42 სეკიტორს შორის. ამ მონღოლს სულ ცოტა, თორმეტი ქულის მოგროვების შემთხვევაში შანსი აქვს, ოცდამეერთე საუკუნის მეორე იოკოძუნა გახდეს. პირველი ქულა უკვე აიღო და თქმაც არ უნდა, მეორეს აღებას დღეს გეგმავს. რანგით დაბალ მეტოქესთან ხაკუხოს უპირატესობაზე სტატისტიკაც მეტყველებს — კოკაის აქამდე ჩატარებული ცხრა ბრძოლიდან შვიდჯერ მოიგო. თუმცა ლევან ცაგურიას რომ სიურპრიზების გაკეთება შეუძლია, ეს არაერთხელ დაუმტკიცებია და ვგებ მორიგი სიურპრიზი — მეოცნებე ხაკუხოს გამწარებაც აჩვენოს დარბაზს.

საერთოდ კი პირველ ტურში ყველა ტიტულიანმა სეკიტორმა მოიგო. იოკოძუნა ასასიორუმ გვარიანად ნაბაქიბუქარი კომუსუბი ტოინოსიმა მოისროლა დოჰიოდან და სასტარტო დღისთვის რეკორდული ცენტრალური საპრიზო ჰონორარი, რვა ათასი დოლარიც ჩაიჯიბა.

**ოთარ ზალდასტანიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

**II ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1:0 | ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0:1 | კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) |

**სატურნირო ვითარება**

1. შაჰრიარ მამედიაროვი ----- 2,5
2. კრიშნან საშიკირანი ---------- 2
3. მაიკლ ადამსი ---------------- 2
4. ლივიუ-დიტერ ნისინიანუ - 1,5
5. ვესელინ ტოპალოვი -------- 0,5
6. გატა კამსკი ------------------ 0,5

# მამედიაროვმა ტოპალოვი ქუთი გახედნა

„ახლა თავს კარგად ვგრძნობ, პირველ ტურში ცოტა არეული ვიყავი და ამიტომაც წავაგე, თუმც წარუმატებლობა უკან დარჩა და ამიერიდან მოვუმატებ" — განაცხადა ვესელინ ტოპალოვმა, მეორე ტურში მაიკლ ადამსთან ნათამაშები ყაიმის შემდეგ.

როგორც ჩანს, ბულგარელის ბაქიაობა ამაო გამოდგა, მესამე ტურში კვლავ დამარცხდა და ტურნირის ორგზის მომგები ცხრილის ბოლოში დაეშვა. ამჯერად ტოპალოვმა ქულა შაჰრიარ მამედიაროვს დაუთმო.

პარტია აზერბაიჯანელმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, კუ იერიშზე გაუშვა და მე-6 სვლაზე მეტოქეს მხედარში გაუცვალა. საპასუხოდ ტოპალოვმაც შეუტია, ცენტრიდან პაიკებით დაარტყა თეთრებს და გაცვლებს მიმართა. მამედიაროვმა იერიშისთვის დაიწყო მომზადება, E ზოლზე ეტლები განალაგა და შავი მეფისკენ მიმართა. ბულგარელმა წინ ლაზიერ-კუს დუეტი გამოიყვანა, მანევრებს შეუდგა და თეთრი ხელმწიფისკენ გაუშვა. მამედიაროვმა შავების იერიში ადვილად მოიგერია, უპირატესობა ხელთ იგდო და 30-ე სვლაზე იმარჯვა.

**ლუკა გეგეჭკორი**



შაჰრიარ მამედიაროვი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 2 | შრიუსბერი-დონსი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 159 | მონპელიე-ლე ავრი | 2.15 | 2.80 | 3.35 | 1.21 | 1.30 | 1.52 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 233 | სპარტა-ლიბერეცი | 1.80 | 3.20 | 4.25 | 1.15 | 1.26 | 1.82 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 285 | იურგორდენი-გაის | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:00 | 286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.65 | 3.60 | 4.50 | 1.13 | 1.20 | 2.00 |
| 21:00 | 287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.75 | 3.40 | 4.40 | 1.15 | 1.25 | 1.91 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 294 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 21:00 | 295 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 296 | სირიუსი-სილვია | 1.65 | 3.70 | 4.50 | 1.14 | 1.20 | 2.03 |
| 21:00 | 297 | სუნდსვალი-ისტერსი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 306 | ვიიკინგიტი-მიუპა | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 404 | დერი-შემროკი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10159 | მონპელიე-ლე ავრი | 2.65 | 1.80 | 3.85 | 1.07 | 1.56 | 1.22 |
| 10285 | იურგორდენი-გაის | 1.90 | 2.20 | 6.20 | 1.01 | 1.45 | 1.62 |
| 10286 | გიოტებორგი-გეფლე | 2.10 | 2.10 | 5.00 | 1.04 | 1.47 | 1.47 |
| 10287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 2.30 | 2.10 | 4.50 | 1.09 | 1.52 | 1.43 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11159 | მონპელიე-ლე ავრი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11285 | იურგორდენი-გაის | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11286 | გიოტებორგი-გეფლე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12159 | მონპელიე-ლე ავრი | 1.55 | 2.10 |
| 12285 | იურგორდენი-გაის | 1.90 | 1.70 |
| 12286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.90 | 1.70 |
| 12287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13159 | მონპელიე-ლე ავრი | 1.90 | 1.70 |
| 13285 | იურგორდენი-გაის | 1.70 | 1.90 |
| 13286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14159 | მონპელიე-ლე ავრი | 1.75 | 2.10 |
| 14285 | იურგორდენი-გაის | 1.30 | 2.50 |
| 14286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.45 | 2.40 |
| 14287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15159 | მონპელიე-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15285 | იურგორდენი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15286 | გიოტებორგი-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16159 | მონპელიე-ლე ავრი | 1.52 | 2.20 |
| 16285 | იურგორდენი-გაის | 1.14 | 4.70 |
| 16286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.23 | 3.60 |
| 16287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.25 | 3.40 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17159 | მონპელიე-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17285 | იურგორდენი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17286 | გიოტებორგი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17287 | ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიპის შვილი შარშია

**მსოფლიოს** ჩემპიონის მარჩელო ლიპის შვილს სასამართლო ელის. დავიდე ლიპი სპორტული მენეჯმენტის სააგენტო GEA-ს ერთ-ერთი შეფთაგანი იყო და მის საქმიანობას იკვლევენ, რადგან კრიმინალის სუნი აუვიდა. როგორც ამბობენ, სააგენტოს კლიენტი ბევრი ცნობილი ფეხბურთელი იყო. სასამართლო 21 ივნისს რომში დაიწყება და გარჩევაზე გამოძახებულნი არიან ლუჩანო მოჯი და მისი შვილი ალესანდრო, რომელიც ასევე GEA-ს თანამშრომელი იყო.

„პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი ამ საქმეში სუფთა აღმოჩნდა და ბრალდება მოუხსნეს.

# ნაცემი აირაპეტიანი

**სომხეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი რუბენ აირაპეტიანი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მიბეგვეს. ჩვენ მეზობელ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა და აირაპეტიანიც დეპუტატობის კანდიდატი ყოფილა. უბანზე დაცვის თანხლებით და შეიარაღებული მისულა, სადაც „დაშნაკცუტიუნის" და „აყვავებული სომხეთის" პარტიის წევრები დახვდნენ. პრეზიდენტს აურევია და ხმის მიცემის პროცესის ჩაშლას ცდილობდა, რის გამოც მუშტი მოხვდა...

# სანჩესი: ჩრდილოეთიდან ფულემში

**ჩრდილოეთ** ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ლოური სანჩესმა უარი თქვა ეროვნული გუნდის თავკაცობაზე და „ფულემს" ჩაიბარებს. ლვი სამი კვირის წინ, კრის კოულმენის გათავისუფლების შემდეგ, დროებით დანიშნეს ლონდონურ კლუბში, მაგრამ პატრონი მოჰამედ ალ ფაიედი დროებითობის წინააღმდეგი იყო და ახალ მწვრთნელს ეძებდა — შორს წასვლა არც დასჭირდა, სანჩესი დათანხმდა მუდმივ სამუშაოზე.

# პელე და კრიმინალები

**პელეს** პრესმდივანმა განაცხადა, რომ ბრაზილიელ ლეგენდას არანაირი კავშირი არ აქვს ნორვეგიულ კრიმინალურ ბანდასთან. ოთხშაბათს ინტერპოლმა 17 კაცი ნორვეგიაში, 10 კი ბრაზილიაში დააკავა, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობაში და ფულის გათეთრებაში არიან ეჭვმიტანილნი. პოლიცია დაეცა სამეფო აპარტამენტს ქალაქ ნატალში, რომელიც ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთშია და იქაური მედიის ცნობით, ამ აპარტამენტის მშენებლობის პროექტში ერთ-ერთი პარტნიორი პელეს ფირმაც იყო. ამიტომ ყოფილ ფეხბურთელს დაკითხვა ელის. ხოლო მავანი ნორვეგიელი ბიზნესმენი, ასევე პროექტის ერთ-ერთი პარტნიორი, პოლიციამ აპარტამენტში დააკავა სხვა კრიმინალებთან ერთად.

# ალარდაისი მაინც იკაჭკაჭებს

**„ნიუკასლის"** მწვრთნელი ალბათ სემ ალარდაისი გახდება. „ბოლტონის" ყოფილი თავკაცი უკვე შეხვდა „კაჭკაჭების" შეფ ფრედი შეფერდს. „ძალიან კარგი შეხვედრა გამოვიდა და ჩემი აგენტი ამ დღეებში ნიუკასლელებს კიდევ დაელაპარაკება კონტრაქტის დეტალებზე" — თქვა ალარდაისმა, ხოლო შეფერდმა განაცხადა: „სემს ჩვენთან მუშაობა აშკარად სურს და მალე ყველაფერს მოვაგვარებთ".

# ბერბატოვს ოთხი უნდა

**დიმიტარ** ბერბატოვმა განაცხადა, რომ „ტოტენჰემში" დარჩენა და „დიდ ოთხეულში" მოსახვედრად ბრძოლა ურჩევნია სხვა გუნდში გადასვლას. ბულგარელი შარშან „ლევერკუზენიდან" იყიდეს და ამ სეზონში 22 გოლი მიითვალა...

— „მანჩესტერი", „ჩელსი", „არსენალი" და „ლივერპული" დიდი კლუბებია, მაგრამ ვიმედოვნებ, მომავალ სეზონში ამ ოთხეულიდან რომელიმეს ადგილს ჩვენ დავიკავებთ. ამიტომ გუნდის გამოცვლას არ ვაპირებ. „ტოტენჰემი" საუცხოოდ თამაშობს და აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

# ანდერლეხტის 29

**ჩემპიონატის** დასრულებამდე ერთი ტურით ადრე „ანდერლეხტმა" „ბრიუსელი" 6:0 მიანგრია და 29-ედ დაიდგა გვირგვინი. მდევარმა „გენკმა" „შარლერუასთან" წააგო, რამაც სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა და „ანდერლეხტი" „გენკისგან" მიუწვდომელი გახადა.

# ულის ფული მისცეს

**მიუნხენის** „ბაიერნის" დირექტორატმა გენერალურ მენეჯერს ული ჰოენესს გუნდის გასაძლიერებლად 70 მილიონი ევრო ჩაახუტა — წერს „დოიჩე ველე". ჰოენესმა განაცხადა, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელებს შეიძენს, რათა „ბაიერნმა" ისევ იბრძოლოს ჩემპიონობისთვის. რამდენიმე ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია: ჰამიტ ალტინტოპი, ერნესტო სოსა („ესტუდიანტესი") და იან შლაუდრაფი („ალემანია").

# მილანი-ბარსელონა 22 მაისს

**„მილანში"** რონალდინიოს გადასვლაზე ლაპარაკს ბოლო არ უჩანს. გუშინწინ ფრანკ რაიკარდმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ გუნდი ცვლილებების გარეშე სამ წელზე მეტხანს ვერ გაძლებს და ახალი სისხლია აუცილებელი. ამ ნათქვამმა ჭორების ახალი ტალღა გამოიწვია და იტალიურ მედიაში უმალ გაჩნდა ცნობა, რომ „ბარსა" რონალდინიოს გაყიდვას აპირებს. ადრიანო გალიანი და ხუან ლაპორტა ბრაზილიელის ტრანსფერზე სასაუბროდ 22 მაისს, G-14-ის წევრების შეკრებისას შეხვდებიან.

**გაგა ხუციშვილი**

## ნორვეგია

### ტიპელიგა
### VI ტური

სტარტი — ვოლერენგა 1:0; სანდეფიორდი — ბრანი 2:3; ფრედრიქსტადი — სტაბეკი 1:2; ლინი — ალესუნდი 0:0; ოდ გრენლანდი — ტრომსიო 0:1; რუსენბორგი — სტრიომსგოდსეტი 1:2; ლილესტრიომი — ვიკინგი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 16 |
| ბრანი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:9 | 13 |
| ტრომსიო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 |
| სტარტი | 6 | 2 | 4 | 0 | 10:7 | 10 |
| სტაბეკი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| სტრიომსგოდსეტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| სანდეფიორდი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:10 | 7 |
| ფრედრიქსტადი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| ვიკინგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| ვოლერენგა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| ოდ გრენლანდი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:9 | 3 |
| ალესუნდი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:16 | 2 |

### პირველი დივიზიონი
### VIII ტური

მიოლდე — ჰამ კამი 0:2; ბოდიო გლიმტი — ნოტოდენი 2:0; ბრინი — მანდალი 3:0; ჰაუგესუნდი — სკიდი 1:1; ლოვ ჰამი — სპარტა 2:2; რაუფოსი — ჰიონეფოსი 0:2; სოგნდალი — მოსი 2:0; ტრიომსდალენი — კონგსვინგერი 2:2

## შვედეთი

### ალსვენსკა. VI ტური

ბრომაპოიკარნა — აიკ 0:2; ჰამარბი — იორებრო 1:0; კალმარი — ელფსბორგი 2:1. *იურგორდენი — გაის, ჰალმსტადი — ტრელებორგი და გიოტებორგი — გეფლე დღეს გაიმართება, ჰელსინგბორგი — მალმიო ხვალ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| გიოტებორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| მალმიო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| გეფლე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| იურგორდენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| იორებრო | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| გაის | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტრელებორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |

### სუპერეტა
### V ტური

დეგერფორსი — ატვიდაბერგი 1:2; იონჩოპინგი — მიალბი 0:0; იორგრიტე — ენჩიოპინგი 1:1; ლიუნგსკილე — ბანკეფლო 1:1. *ლანდსკრონა — ფალკენბერგი, ნორჩიოპინგი — ჰეკენი, სირიუსი — სილვია და სუნდსვალი — იოსტერსი დღეს გაიმართება*

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XXX ტური

იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 3:5; კალამარია — ლარისა 1:2; არისი — ატრომიტოსი 1:2; ერგოტელისი — ეგალეო 3:0; პანათინაიკოსი — კერკირა 2:2; პანიონიოსი — აეკ 3:1; პაოკ — ოფი 1:0; ქსანთი — ირაკლისი 1:2

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 22 | 5 | 3 | 62:23 | 71 |
| აეკ | 30 | 18 | 8 | 4 | 60:27 | 62 |
| პანათინაიკოსი | 30 | 16 | 6 | 8 | 47:28 | 54 |
| არისი | 30 | 11 | 13 | 6 | 32:26 | 46 |
| პაოკ | 30 | 13 | 6 | 11 | 32:29 | 45 |
| პანიონიოსი | 30 | 12 | 9 | 9 | 33:31 | 45 |
| ოფი | 30 | 12 | 6 | 12 | 41:45 | 42 |
| ატრომიტოსი | 30 | 10 | 10 | 10 | 40:44 | 40 |
| ერგოტელისი | 30 | 11 | 6 | 13 | 30:32 | 39 |
| ქსანთი | 30 | 8 | 12 | 10 | 24:22 | 36 |
| ლარისა | 30 | 9 | 9 | 12 | 30:38 | 36 |
| კერკირა | 30 | 8 | 11 | 11 | 34:36 | 35 |
| კალამარია | 30 | 9 | 8 | 13 | 27:36 | 35 |
| ირაკლისი | 30 | 10 | 5 | 15 | 25:34 | 35 |
| ეგალეო | 30 | 7 | 7 | 16 | 27:45 | 28 |
| იონიკოსი | 30 | 2 | 3 | 25 | 14:62 | 7 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## დანია

### სუპერლიგა
### XXX ტური

მიდტიულანდი — ბრონდბიუ 1:1; ჰორსენსი — ოლბორგი 1:4; ესბიერგი — ვიბორგი 2:2; ნორდსიელანდი — ვაილე 3:0; ოდენსე — სილკებორგი 2:0; კოპენჰაგენი — რანდერსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 30 | 22 | 6 | 2 | 58:21 | 72 |
| ოდენსე | 30 | 17 | 7 | 6 | 43:29 | 58 |
| მიდტიულანდი | 30 | 16 | 9 | 5 | 54:34 | 57 |
| ოლბორგი | 30 | 16 | 7 | 7 | 49:32 | 55 |
| ნორდსიელანდი | 30 | 14 | 8 | 8 | 60:35 | 50 |
| ბრონდბიუ | 30 | 11 | 10 | 9 | 46:36 | 43 |
| ესბიერგი | 30 | 8 | 10 | 12 | 42:47 | 34 |
| რანდერსი | 30 | 9 | 7 | 14 | 36:47 | 34 |
| ჰორსენსი | 30 | 6 | 10 | 14 | 27:47 | 28 |
| ვიბორგი | 30 | 7 | 5 | 18 | 30:59 | 26 |
| ვაილე | 30 | 5 | 6 | 19 | 32:61 | 21 |
| სილკებორგი | 30 | 4 | 5 | 21 | 29:58 | 17 |

### პირველი დივიზიონი
### XXIII ტური

ჰელერუპი — ნესტვედი 0:0; ფრემადი — ბრაბრანდი 0:3; კიოგე — ჰერფიოლგე 1:1; იოლსტიკე — ფკ ორჰუსი 0:0; ტისტედი — სიონდერისკე 0:0; ორჰუსი — აკადემისკი 1:0; კოლდინგი — ფრემი 3:0; ლიუნგბიუ — ფრედერისია 0:2

## რუსეთი

### პრემიერლიგა
### IX ტური

**ცსკა 1:1 სპარტაკი**

1:0 კრასიჩი (14), 1:1 ბისტროვი (69)

**ტომი 1:0 დინამო**

1:0 ბულიგა (28)

**კრილია 3:0 ლუჩ-ენერგია**

1:0 მედვედევი (15), 2:0 დ. მუჟირი (35), 3:0 შვეცოვი (56)

**ნალჩიკი 1:0 მოსკვა**

1:0 ჰუბნიკი (64ს.კ.)

**ხიმკი 0:0 სატურნი**

**რუბინი 1:0 ამკარი**

1:0 გაბრიელი (52)

**ლოკომოტივი 2:0 როსტოვი**

1:0 გურენკო (36), 2:0 სიჩოვი (76)

**ყუბანი 1:1 ზენიტი**

1:0 ლაიზანსი (28), 1:1 პოგრებნიაკი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 9 | 5 | 4 | 0 | 11:5 | 19 |
| ცსკა | 9 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 16 |
| ზენიტი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | 16 |
| მოსკვა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:6 | 15 |
| დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 9:9 | 14 |
| კრილია | 9 | 3 | 4 | 2 | 7:4 | 13 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:7 | 13 |
| ტომი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:10 | 11 |
| ხიმკი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:7 | 11 |
| ყუბანი | 9 | 1 | 6 | 2 | 6:7 | 9 |
| სატურნი | 9 | 1 | 6 | 2 | 8:10 | 9 |
| ნალჩიკი | 9 | 2 | 3 | 4 | 4:9 | 9 |
| ამკარი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:9 | 8 |
| რუბინი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 |
| ლუჩ-ენერგია | 9 | 2 | 2 | 5 | 4:9 | 8 |
| როსტოვი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | 7 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა
### IV ტური

კტპ — ოულუ 3:0; მარიეჰამნი — ჰაკა 0:1; ინტერი — ტურკუ 1:1; მიუპა — იარო 2:0; ტამპერე — ვიიკინგიტი 1:0; ლაჰტი — ჰიკ 3:1; ვაასა — ჰონკა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| ჰაკა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ჰიკ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლაჰტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| კტპ | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ტურკუ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ოულუ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| იარო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ჰონკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ვიიკინგიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მიუპა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| მარიეჰამნი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| ვაასა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:7 | 3 |

## პოლონეთი

### I ლიგა. XXVII ტური

გროცლინი — კორონა 1:0; ბელხატოვი — პლოცკი 2:1; გურნიკი — ლეხი 1:2; ლოძი — არკა 0:1; ოდრა — ლეჩნა 2:1; ზაგლები — პოგონი 6:2; ლეგია — ვიძევი 2:0; კრაკოვია — ვისლა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 27 | 18 | 4 | 5 | 57:25 | 58 |
| ზაგლები | 27 | 16 | 8 | 3 | 50:24 | 56 |
| ლეგია | 27 | 15 | 4 | 8 | 49:27 | 49 |
| ლეხი | 27 | 11 | 10 | 6 | 49:32 | 43 |
| კორონა | 27 | 13 | 4 | 10 | 35:29 | 43 |
| ვისლა | 27 | 9 | 15 | 3 | 39:20 | 42 |
| კრაკოვია | 27 | 11 | 7 | 9 | 38:40 | 40 |
| გროცლინი | 27 | 8 | 15 | 4 | 30:24 | 39 |
| ლოძი | 27 | 9 | 10 | 8 | 28:27 | 37 |
| ოდრა | 27 | 9 | 9 | 9 | 26:33 | 36 |
| არკა | 26 | 7 | 10 | 9 | 34:37 | 31 |
| ვიძევი | 26 | 7 | 7 | 12 | 23:36 | 28 |
| გურნიკი | 27 | 5 | 6 | 16 | 28:48 | 21 |
| ლეჩნა | 26 | 5 | 5 | 16 | 20:55 | 20 |
| პლოცკი | 26 | 2 | 11 | 13 | 17:43 | 17 |
| პოგონი | 27 | 3 | 7 | 17 | 23:46 | 16 |

## რუმინეთი

### I ლიგა. XXXII ტური

ოცელული — დინამო 2:1; პეტროლისანი — არადი 2:0; პანდურიი —ვასლული 1:2; ჩაჰლაული — არჯეში 1:1; ტიმიშოარა — უნივერსიტატია 1:5; უნირია — რაპიდი 1:1; ნაციონალი — სტიაუა 0:3; პოლიტეხნიკა — ფარული 0:2. *კლუჟი — გლორია დღეს გაიმართება*

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXVI ტური

დნიპრო — ჩერნომორეცი 1:0; ილიჩევეცი — ზარია 0:1; სტალი — დინამო 1:1; ტავრია — მეტალურგი (ზ) 5:1; ვორსკლა — კრივბასი 2:1; არსენალი — შახტარი 1:2; ხარკოვი — კარპატი 0:0. *მეტალურგი (დ) — მეტალისტი დღეს გაიმართება*

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა
### XXVIII ტური

მტკ — დიოშდიორი 4:2; ფეჰერვარი — დიორი 2:1; ტატაბანია — უიპეშტი 3:2; პაკში — ჰონვედი 1:2; კაპოშვარი — შოპრონი 2:2; ვაცი — ზალაეგერსეგი 0:5; ვაშაში — პეჩი 3:3. *დებრეცენი — რეაკი დღეს გაიმართება*

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXXIV ტური

ალტახი — რიდი 0:2; აუსტრია — შტურმი 0:1; მატერსბურგი — ზალცბურგი 2:1; პაშინგი — ტიროლი 3:1; გრაცერი — რაპიდი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 34 | 20 | 9 | 5 | 67:24 | 69 |
| მატერსბურგი | 34 | 15 | 7 | 12 | 53:54 | 52 |
| პაშინგი | 34 | 14 | 9 | 11 | 46:38 | 51 |
| რიდი | 34 | 13 | 11 | 10 | 43:40 | 50 |
| რაპიდი | 34 | 13 | 10 | 11 | 52:46 | 49 |
| აუსტრია | 34 | 10 | 12 | 12 | 40:42 | 42 |
| შტურმი | 34 | 15 | 5 | 14 | 38:39 | 37 |
| ალტახი | 34 | 10 | 5 | 19 | 42:59 | 35 |
| ტიროლი | 34 | 8 | 10 | 16 | 39:56 | 34 |
| გრაცერი | 34 | 8 | 10 | 16 | 41:63 | 6 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*
*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

### პირველი დივიზიონი
### XXX ტური

აუსტრია (ლ) — აუსტრია (ზ) 2:1; ჰარტბერგი — გრატკორნი 1:2; კერნტენი — ადმირა 3:2; ლეობენი — ლინცერი 1:1; პარნდორფი — კაპფენბერგი 5:1; შვანენშტადტი — ლუსტენაუ 2:2

## სლოვაკეთი

### პირველი ლიგა
### პლეი ოფი. X ტური

რუჟომბეროკი — სენეცი 0:0; სლოვანი — კოშიცე 0:2; ჟილინა — არტმედია 6:1; ნიტრა — ბანსკა ბისტრიცა 2:1

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XXXIII ტური

**დორტმუნდი 2:0 შალკე**

1:0 ფრაი (44), 2:0 შმოლარეკი (85)
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კრუშკა, კრინგე, ტინგა (გორდონი 71), პიენაარი (ნ. საჰინი 71), ფრაი (ნ. ვალდესი 83), შმოლარეკი
მწვრთნელი: თომას დოლი
**შალკე:** ნოიერი, რაფინია (ლარსენი 73), ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ჰამიტ ალტინტოპი, ფ. ერნსტი, ლინკოლნი, ასამოა (ჰალილ ალტინტოპი 63), ილზილი (ქობიაშვილი 79), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ბრჟენსკა, ერნსტი, დედე, ჰამიტ ალტინტოპი, ვაიდენფელერი, კრსტაიჩი, შმოლარეკი, ჰალილ ალტინტოპი
მსაჯი: ფანდელი
80 708 მაყურებელი

**ბოხუმი 2:3 შტუტგარტი**

1:0 შროოდერი (4), 1:1 ჰიცლშპერგერი (24), 2:1 მალტრიცი (42), 2:2 გომესი (62), 2:3 კაკაუ (73)
**ბოხუმი:** დრობნი, ო. შროოდერი, მალტრიცი, იაია (დრშეკი 46), ბატჩერი (ილიჩევიჩი 78), დაბროვსკი, ცდებელი, მისიმოვიჩი, გროტე (პ. ბიონიგი 65), ეპალე, გეკასი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ოსორიო (გომესი 55), ტასკი, დელპიერი, მანინი, პარდო, ხედირა, ჰიცლშპერგერი, ჰილბერტი, ლაუტი (და სილვა 55), კაკაუ (შტრელერი 88)
მწვრთნელი: არმინ ფეე
მსაჯი: მეიერი
31 328 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 აინტრახტი**

0:1 ამანატიდისი (13), 1:1 ჰანტი (34), 1:2 ნალდო (69ს.კ.)
**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიცი, პასანენი (დ. იენსენი 56), ნალდო, ვომე, ბაუმანი, ფრინგსი, ჰანტი (მერტესაკერი 73), დიეგო, კლოზე, როზენბერგი (უგო ალმეიდა 62)
მწვრთნელი: თომას შააფი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, პ. ოხსი, კირიაკოსი, ვასოსკი, შპიხერი, მ. ფრინკი, ჰუგელი (პროისი 75), ა. შტრაიტი (რუსი 78), კიოლერი, ამანატიდისი, ტაკაჰარა
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჰანტი, ოხსი, ალმეიდა
მსაჯი: მერკი
42 100 მაყურებელი

**კოტბუსი 0:3 ბაიერნი**

0:1 მაკაი (33პ), 0:2 ვან ბუიტენი (35), 0:3 სანტა კრუზი (61)
**კოტბუსი:** პიპლიცა, ბაუმგარტი, მაკკენა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ტროსტი (შკელა 68), კუკიელკა, ბანდროვსკი, მუნტიანუ (გუნკელი 68), რადუ, კიოიო (შაო 64)
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
**ბაიერნი:** კანი, ლელი, დემიკელისი, ვან ბუიტენი (გიორლიცი 46), ლამი, სანტა კრუზი, ვან ბომელი, ოტლი, ქარიმი (ნგვატ-მაჰოპი 88), მაკაი (შოლი 65), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: როსტი, ცვიტანოვიჩი, მაკკენა, ბაუმგარტი
მსაჯი: გაგელმანი
22 450 მაყურებელი

**ჰერტა 2:3 ლევერკუზენი**

0:1 კალსენ-ბრაკერი (13), 1:1 პანტელიჩი (32), 1:2 ვორონინი (34), 2:2 ხიმენესი (51), 2:3 შნაიდერი (64პ)
**ჰერტა:** ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი (კ. ბოატენგი 46), ფატი (ნოინდორფი 72), ჩაჰედი, ა. შმიდტი, კ. მიულერი (დეჟაგა 53), ბაშთურქი, ჟილბერტო, კ. ხიმენესი, პანტელიჩი
მწვრთნელი: კარსტენ ჰაინე
**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, კასტრო, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, შტენმანი, შვეგლერი, როლფესი, ბ. შნაიდერი, ბარნეტა (ბაბიჩი 86), კისლინგი (ფრაიერი 77), ვორონინი (ბარბარესი 90)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბოატენგი, შტენმანი, ნოინდორფი, ვორონინი, ხიმენესი, შვეგლერი, დეჟაგა
მსაჯი: შტარკი
54 820 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:2 ჰამბურგი**

0:1 ვან დერ ვაარტი (39), 0:2 იაროლიმი (41)
**ნიურნბერგი:** რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, ენგელჰარდტი (სიბონი 60), კრისტიანსენი, მინტალი, პოლაკი (მნარი 65), საენკო (პაგენბურგი 46), შროტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, დე იონგი, დემელი (მაჰდავიკია 75), იაროლიმი, სორინი, ვან დერ ვაარტი (გერერო 90), ოლიჩი (სანოგო 80)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: დემელი, სორინი, ატუბა
მსაჯი: კირხერი
47 000 მაყურებელი

**არმინია 3:1 ჰანოვერი**

1:0 ვიშნიარეკი (22), 1:1 როზენტალი (30), 2:1 ბიომე (33), 3:1 ვატა (65)
**არმინია:** ჰაინი, ბოლმანი, ვესტერმანი, კუჩერა, რაუ, კაუფი, ტესკე, ბიომე (ტ. მარქსი 66), ვატა (მულერი 74), ვიშნიარეკი (კამპერი 63), აიგლერი
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო (შრიოტერი 73), ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი, იანკოვი (შტაინერი 46), ჰუშტი, ბრუგინკი, როზენტალი (ბრდარიჩი 72), ჰაშემიანი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: კამპერი, ჰუშტი, შტაინერი
მსაჯი: კემპტერი
26 601 მაყურებელი

**ალემანია 2:2 ვოლფსბურგი**

1:0 ლემანი (65), 2:0 ნემეტი (68), 2:1 ლამპრეხტი (81), 2:2 კლიმოვიჩი (86)
**ალემანია:** ჰესე, კასპერი, შტელე, სიხონე, ლეივაკაბესი (იოზგენი 88), მ. ლემანი, რეგეკამპფი, ს. პინტო (კრონტირისი 77), ფაილი, ებერსი (ნემეტი 62), როსლერი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
**ვოლფსბურგი:** იენჩი, კიროგა, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, ვან დერ ლეიგტე, მაკიადი (ლამპრეხტი 76), კრჟინოვეკი (მარპეი 90), მარსელინიო, კლიმოვიჩი, ბოაკიე (კ. ჰილი 76)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კასპერი, ბოაკიე, პინტო, ვან დერ ჰიდენი, ლეივაკაბესი, კლიმოვიჩი, შტელე, ლამპრეხტი
მსაჯი: გრეფე
20 800 მაყურებელი

**მაინცი 3:0 გლადბახი**

1:0 ზიდანი (32პ), 2:0 რუმანი (45), 3:0 ფიულნერი (72)
**მაინცი:** ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როზე, ფიულნერი, ლ. ანდრეასენი, პეკოვიჩი, სოტო (ფ. გერბერი 83), ზიდანი (საბიჩი 84), რუმანი (ამრი 75)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**გლადბახი:** ჰაიმეროტი, ბოგელუნდი, გოჰური, ფლესერსი, კომპერი, კლუგე, ლეველსი, მ. იანსენი, მარინი, ინსუა (ლამიდი 46), რაფაელი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
გაფრთხილება: როზე, ლამიდი, რუმანი, კლუგე, რაფაელი
მსაჯი: კინჰოფერი
20 300 მაყურებელი



დორტმუნდში დაცემული „შალკე“

AFP

# შტუტგარტის ჩემპიონობას ნერვები და კოტბუსი აკლია

„შალკემ“ იწვალა, იწვალა და „შტუტგარტი“ თავზე დაისვა, რომლის ჩემპიონობასაც ერთი მოგებალა აკლია. მომდევნო, ბოლო ტურში, „შტუტგარტმა“ ბუნდესლიგაში ადგილგანაღდებულ „კოტბუსს“ უნდა სძლიოს და 1992 წლის შემდეგ პირველად, ისტორიაში კი მეხუთედ, სასალათეს დაისაკუთრებს. სეზონის დასასრული არმინ ფეეს გუნდს შთამბეჭდავი გამოუვიდა. თავად განსაჯეთ — ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო და ალბათ „კოტბუსთან“ მერვეს მიითვლის.

ბოხუმელები მე-3 წუთზე დაწინაურდნენ „შტუტგარტთან“ ოლივერ შროოდერის გოლით და მალე მეორის გატანა მართებდა თეოფანის გეკასს, მაგრამ ლიგის ბომბარდირმა ახლოდან ააცილა.

ნახევარი საათის თავზე თომას ჰიცლშპერგერმა კაკაუს პასით გაათანაბრა. ამის მერე კი სტუმარმა პაველ პარდომ კინაღამ საკუთარ კარში შეაგდო — ხარიხას გაარტყა. ხოლო ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ბოხუმელმა მარსელ მალტრიცმა 25 მეტრიდან დაჰკრა და მეკარე ტიმო ჰილდებრანდი უშანსოდ დატოვა.

შესვენების შემდეგ „შტუტგარტის“ შემადგენლობაში მარიო გომესი გამოჩნდა, რომელსაც ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა და წლეულს პირველად ითამაშა. შესვლიდან ხუთ წუთში გომესმა ნახტომში თავურით ანგარიში გაათანაბრა. ტრავმის მიღებამდე იგი ჩემპიონატის ბომბარდირი იყო 13 გოლით, და ეს მისი მეთოთხმეტე და ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გამოდგა.

ამას კი ათ წუთში კაკაუს ზუსტი დარტყმა მოჰყვა, რომელმაც „შტუტგარტი“ პირველ ადგილზე გაიყვანა.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა არმინ ფეემ თქვა: „ჯერ კიდევ მატჩი გველის და ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. ბოლო ტურის შემდეგ ვნახავთ, გვექნება თუ არა საზეიმო მიზეზი. მთავარია, ნერვებმა არ გვიღალატოს“.

ნერვებმა კი „შალკეს“ უღალატა რურულ დერბიში და მთელი წლის ნაჯაფი „დორტმუნდს“ გაატანა. სწორედ ამ მატჩში უნდა დაემტკიცებინათ „ხუმარებს“, რომ ჩემპიონობა შეეძლოთ, მაგრამ „შავყვითლებმა“ საპირისპირო დაამტკიცეს — „შალკე“ ჯერ ვერაა საჩემპიონო გუნდი.

მირკო სლომკას შეგირდები საწყის 20 წუთში აშკარად ნერვიულობდნენ და მუხლები უკანკალებდათ. მხოლოდ 30-ე წუთისთვის შეძლეს სტუმრებმა კარში დარტყმა და ჯერალდ ასამოამ ათი მეტრიდან ბურთი ტრიბუნაზე გაუშვა.

ტაიმის მიწურულს მასპინძლები დაწინაურდნენ სწრაფი კონტრშეტევის შედეგად. შალკელი იოზილის დარტყმული ვაიდენფელერმა მოიგერია და უმალ მეცელდერს მიაწოდა, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე ჩაირბინა და ფრაის ჩაუწოდა, შვეიცარიელმა კი რვა მეტრიდან გაუტანა ნოიერს.

მეორე ნახევარში სტუმრები მიაწყდნენ საჯარიმოს, მაგრამ „დორტმუნდის“ დაცვა კედელივით იდგა. ხოლო თამაშის ბოლოს მეცელდერის დარტყმული რეკოშეტით შმოლარეკის ფეხთან დაეშვა და პოლონელმა მარჯვენა კუთხეში გაიტანა ნოიერს.

„ძალიან დამწუხრებულები ვართ — თქვა სლომკამ — მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა და ბოლო ტურში „არმინიასთან“ უნდა მოვიგოთ, რათა მეორე ადგილი მაინც შევინარჩუნოთ“.

ჩემპიონობის მსურველმა „ვერდერმა“ კი სამი ქულა გაატანა „აინტრახტს“, რომელმაც მოგებით ბუნდესლიგაში ადგილი გაინაღდა.

მიუნხენის „ბაიერნმა“ ხასიათი გამოუკეთა ქომაგებს — ზედიზედ სამი მოუგებელი ტურის შემდეგ კოტბუსში გაილაღა. პიზაროს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მაკაიმ გამოიყენა და სეზონში მე-16 გოლი მიითვალა. მალევე სხვაობა ვან ბუიტენმა გაზარდა, რომელმაც ხარიხიდან უკუგდებულ ბურთს დაამატა, ხოლო მესამე ვან ბომელის ჩაწოდებულ კუთხურის შედეგად სანტა კრუზმა შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 33 | 20 | 7 | 6 | [illegible] | 67 |
| შალკე | 33 | 20 | 5 | 8 | 51:31 | 65 |
| ვერდერი | 33 | 19 | 6 | 8 | 74:40 | 63 |
| ბაიერნი | 33 | 17 | 6 | 10 | 50:38 | 57 |
| ლევერკუზენი | 33 | 14 | 6 | 13 | 52:49 | 48 |
| ნიურნბერგი | 33 | 10 | 15 | 8 | 40:32 | 45 |
| დორტმუნდი | 33 | 12 | 8 | 13 | 40:41 | 44 |
| ჰანოვერი | 33 | 12 | 8 | 13 | 41:47 | 44 |
| ჰამბურგი | 33 | 9 | 15 | 9 | 39:37 | 42 |
| არმინია | 33 | 11 | 9 | 13 | 46:47 | 42 |
| ბოხუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 47:50 | 42 |
| ჰერტა | 33 | 11 | 8 | 14 | 48:54 | 41 |
| კოტბუსი | 33 | 11 | 8 | 14 | 37:47 | 41 |
| აინტრახტი | 33 | 9 | 13 | 11 | 45:56 | 40 |
| ვოლფსბურგი | 33 | 8 | 13 | 12 | 37:43 | 37 |
| ალემანია | 33 | 9 | 7 | 17 | 46:66 | 34 |
| მაინცი | 33 | 8 | 10 | 15 | 32:52 | 34 |
| გლადბახი | 33 | 6 | 8 | 19 | 23:42 | 26 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გეკასი (ბოხუმი) | 20 |
| ფრაი (დორტმუნდი) | 16 |
| მაკაი (ბაიერნი) | 16 |
| კურანი (შალკე) | 15 |
| ზიდანი (მაინცი) | 14 |
| გომესი (შტუტგარტი) | 14 |

**XXXIV ტური**

19 მაისი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | : | არმინია |
| გლადბახი | : | ბოხუმი |
| ჰამბურგი | : | ალემანია |
| შტუტგარტი | : | კოტბუსი |
| ვოლფსბურგი | : | ვერდერი |
| აინტრახტი | : | ჰერტა |
| ლევერკუზენი | : | დორტმუნდი |
| ჰანოვერი | : | ნიურნბერგი |
| ბაიერნი | : | მაინცი |

### მეორე ბუნდესლიგა
### XXXIII ტური

კიოლნი — ოფენბახი 2:2; ბრაუნშვაიგი — აუგსბურგი 0:1; კარლ ცაისი — კაიზერსლაუტერნი 1:1; კარლსრუე — ფრაიბურგი 0:3; კობლენცი — აუე 2:1; მიუნხენი — ჰანზა 1:2; პადერბორნი — დუისბურგი 0:3; ესენი — ბურგჰაუზენი 1:1; უნტერჰახინგი — ფიურტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 33 | 20 | 7 | 6 | 66:40 | 67 |
| ჰანზა | 33 | 15 | 14 | 4 | 46:29 | 59 |
| დუისბურგი | 33 | 15 | 12 | 6 | 63:40 | 57 |
| ფრაიბურგი | 33 | 16 | 9 | 8 | 53:39 | 57 |
| ფიურტი | 33 | 16 | 6 | 11 | 52:37 | 54 |
| ლაუტერნი | 33 | 13 | 13 | 7 | 46:32 | 52 |
| აუგსბურგი | 33 | 14 | 10 | 9 | 42:30 | 52 |
| მიუნხენი | 33 | 14 | 5 | 14 | 45:47 | 47 |
| კიოლნი | 33 | 12 | 9 | 12 | 47:48 | 45 |
| აუე | 33 | 13 | 5 | 15 | 44:46 | 44 |
| პადერბორნი | 33 | 11 | 9 | 13 | 31:36 | 42 |
| კობლენცი | 33 | 11 | 8 | 14 | 36:43 | 41 |
| ესენი | 33 | 8 | 11 | 14 | 34:37 | 35 |
| უნტერჰახინგი | 33 | 9 | 8 | 16 | 32:46 | 35 |
| ოფენბახი | 33 | 9 | 8 | 16 | 41:58 | 35 |
| კარლ ცაისი | 33 | 8 | 11 | 14 | 38:55 | 35 |
| ბურგჰაუზენი | 33 | 6 | 11 | 16 | 37:62 | 29 |
| ბრაუნშვაიგი | 33 | 4 | 10 | 19 | 19:47 | 22 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXXIII ტური

ჰამბურგი (მ) — ოსნაბრიუკი 4:2; კილი — ალენი 2:1; უნიონი — ვუპერტალი 0:3; ზანკტ პაული — დიუსელდორფი 2:0; ვილჰელმშავენი — მაგდებურგი 0:2; ლევერკუზენი (მ) — დინამო 3:2; ჰერტა (მ) — დორტმუნდი (მ) 0:3; ემდენი — ერფურტი 1:0; ვერდერი (მ) — ლიუბეკი 2:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXXI ტური

კიკერსი — მიუნხენი (მ) 1:0; დარმშტადტი — კაიზერსლაუტერნი (მ) 4:0; ზიგენი — ელვერსბერგი 2:2; ინგოლშტადტი — შტუტგარტი (მ) 2:2; პირმასენსი — ჰესენი 2:0; როიტლინგენი — ჰოფენჰაიმი 0:2; ზაარბრიუკენი — აალენი 4:2; პფულენდორფი — კარლსრუე (მ) 3:1; ბაიერნი (მ) — ვეჰენი 0:1

# იტალია

## სერია A

## XXXVI ტური

### კატანია 1:1 მილანი

0:1 ზეედორფი (6), 1:1 სპინეზი (61)
კატანია: პანტანელი, სარდო, სესარი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, იცკო, სპინეზი (როსინი 82), მასკარა (სილვესტრი 85)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (კალაძე 65), იანკულოვსკი, გატუზო (გურკუფი 80), პირლო, ბროკი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი (ჯილარდინო 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ინძაგი, ბაიოკო, გატუზო, ვარგასი, ბროკი
მსაჯი: საკანი
12 000 მაყურებელი

### ინტერი 4:3 ლაციო

0:1 პანდევი (3), 0:2 მუტარელი (4), 1:2, 2:2 კრესპო (20, 35). 2:3 ლედესმა (41), 3:3 კრესპო (81), 4:3 მატერაცი (85)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, მატერაცი, მაქსველი (კამბიასო 71), ხ. ძანეტი, ვიეირა, სტანკოვიჩი, სოლარი (ფიგუ 46), კრესპო, რეკობა (მ. გონსალესი 64)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი, სივილია, კრიბარი, ძაური, მუტარელი (ბელერი 80), ლედესმა, მუდინგაი, ლ. ხიმენესი, როკი (მაკინვა 73), პანდევი (მანფრედინი 64)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: მუდინგაი, ბურდისო, მუტარელი
გაძევება: სივილია (82)
მსაჯი: ბანტი
55 000 მაყურებელი

### რომა 0:1 ტორინო

0:1 მუცი (14)
რომა: კურჩი, კასეტი, ფერარი, კივუ, ტონეტო (როზი 75), ფატი (პანუჩი 69), პეროტა, ვილჰელმსონი (მანსინი 60), ტადეი, ვუჩინიჩი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ი. ფრენჩესკინი (ოგბონა 51), ბალესტრი, დი ლორეტო, როზინა, ბარონე, არდიტო, დე აშენტისი (მარტინელი 62), მუცი (სტელონე 46)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, დი ლორეტო, არდიტო, კივუ, ოგბონა, ბალესტრი
მსაჯი: როკი
45 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 1:0 კალიარი

1:0 პაცინი (7)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, დაინელი, პასკუალი, პაზიენცა, ლივერანი (გობი 66), მონტოლივო (ბლაზი 77), იორგენსენი (რეგინალდო 54), პაცინი, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კალიარი: კიმენტი, მ. პიზანო (ფერი 45), დ. ლოპესი, კანინი, დელ გროსო, ბიონდინი, ბუდელი, ლ. კოლუჩი (ლანჯელა 67), მარკინი (კაპონე 77), პეპე, სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: მუტუ, ბიონდინი, პაზიენცა, ლოპესი, ლანჯელა
მსაჯი: ჯანნოჩარო
30 000 მაყურებელი

### ასკოლი 3:2 პალერმო

0:1 სიმპლისიო (9), 1:1 ბუდიანსკი (25), 1:2 მატუსიაკი (31), 2:2 პაოლუჩი (47), 3:2 ბუდიანსკი (61)
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, მინიერი, დი ბიაჯო (ბელუჩი 5), მელარა, პესკე, გუბერტი (ჯამპა 85), ბუდიანსკი, ბონანი, პერული (პ. ძანეტი 46), პაოლუჩი, სონჩინი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, კასანი (ფ. პიზანო 60), ზუანა (ბრიენცა 77), ბრეშიანო, კორინი, დი მიკელე, სიმპლისიო, მატუსიაკი (კარაჩოლო 51)
მწვრთნელი: რენცო გობი
გაფრთხილება: ბიავა, პერული, დი მიკელე, სონჩინი
გაძევება: სიმპლისიო (78)
მსაჯი: მაცოლენი
8 000 მაყურებელი

### სიენა 2:0 ემპოლი

1:0 პორტანოვა (12), 2:0 მაკარონე (90)
სიენა: მანინგერი, ნეგრო (გასტალდელო 52), რინაუდო, პორტანოვა, მოლინარო, გალოპა, ბრევი (კოდრია 59), ვერგასოლა, კონკო, ფრიკი, ლოკატელი (მაკარონე 66)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ემპოლი: ბასი, ბუშე, მარცორატი, ვანილი, ასკოლი, მარიანინი, ფიჩინი, მატეინი (კატურანო 80), ვანუკი (ტოსტო 46), ედერი, საუდატი (კორალი 65)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: ნეგრო, ვანილი, ვანილი, მატეინი, ბრევი, მაკარონე
გაძევება: ვანილი (34)
მსაჯი: მორგანტი
11 000 მაყურებელი

### უდინეზე 2:3 ატალანტა

1:0 გიანი (28), 1:1 ძამპანა (45პ), 2:1 გიანი (68), 2:2 ტისონე (74), 2:3 ვიერი (86)
უდინეზე: დე სანქტისი (კაზაცა 46), ზაპოტოჩნი, ნატალი, საპატა, მოტა, შივოკი (დე მარტინო 46), გ. დაგოსტინო, მუნტარი, სიკეირა (გოტი 57), გიანი, ბარეტო
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ატალანტა: კალდერონი, ადრიანუ, ტალამონტი (ლორია 52), კაროციერი, ბელინი, ფერეირა პინტუ, მილიაჩო, დონატი (ბერნარდინი 70), არიატი, ტისონე, ძამპანა (ვიერი 54)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: კაროციერი, დე სანქტისი, ზაპოტოჩნი, ადრიანუ, ვიერი
მსაჯი: პიერპაოლი
18 000 მაყურებელი

### ლივორნო 1:0 სამპდორია

1:0 ფილიპინი (72)
ლივორნო: მანიტა, გრანდონი, პავანი, გალანტე, პასკუალე (პფერცელი 87), ბალერი (პაულინიუ 66), პასონი, მორონე, ა. ფილიპინი, ფიორე (კ. კოპოლა 75), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფერნანდო ორსი
სამპდორია: კასტელაცი, მაჯო, ფალკონე, აკარდი, პიერი, ვოლპი, ოლივერა (ჯ. დელვეკიო 70), პალომბო, პაროლა (დ. ფრანჩესკინი 58), ციგლერი (კ. ძენონი 46), კალიარელა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ვოლპი, პასონი, პასკუალე, მორონე
მსაჯი: რიცოლი
20 000 მაყურებელი

### პარმა 4:1 მესინა

1:0 როსი (23), 2:0 მუსლიმოვიჩი (29), 3:0 როსი (31), 4:0 გასბარონი (34), 4:1 რიგანო (87)
პარმა: ბუჩი, პაჩი, კოლი, ფ. კოუტუ (ფერონეტი 50), პ. კასტელინი, გასბარონი, გრელა, პარავიჩინი, მუსლიმოვიჩი, ჯ. როსი (პაპონი 53), ბუდანი (დესენა 67)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მესინა: პაოლეტი, მორელო, კანდელა, ძანკი, ჯალლომბარდო, ლავეკია (ე. ალვარესი 64), პესტრინი, დავერსა, მაზიელო (დე ვიცე 64), პარიზი (გომსი 81), რიგანო
მწვრთნელი: ბრუნო ბოლკი
გაფრთხილება: გრელა, პესტრინი, მორელო, ძანკი
მსაჯი: გავა
15 000 მაყურებელი

### რეჯინა 1:1 კიევო

0:1 ბრიგი (51), 1:1 ბიანკი (53)
რეჯინა: კამპანოლო, დი დიო (ნარდინი 83), ა. ლუკარელი, ლანძარო, ვიჯანი, ამერინი (გაცი 80), ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, ფოჯა, ნ. ამორუზო, ბიანკი (მისიროლი 90)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
